ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შიდა ქართლში 35 წლის მამაკაცი 14 წლის ბიჭზე სექსუალურად ძალადობდა

გვ.5

ხუთშაბათი, 27 მაისი, 2021 №93 (8622) ფასი: 60 თეთრი

რატომ არ ილებს ხმას კალაძე გახარიაზე?!

პაატა ზაქარეიშვილი: „გახარია „ქართული ოცნების“ ნერვებზე თამაშობს“

„გოლეთიანი გავიცანი და მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, თუმცა საზოგადოებაში დაგროვდა კითხვები და ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს“

გვ.2

გვ.3

მამუკა ახვლედიანი: „სასამართლო დანაშაულებრივი დაჯგუფებაა“

„რევოლუციური ცვლილებებია საჭირო, რასაც პოლიტიკური ნება სჭირდება... ამ ხელისუფლებისგან ეს შეუძლებელია“

გვ.3

ჯონდი ბაღათურია: „ხელისუფლებამ აღნიშნული პროექტის განხორციელება უნდა შეაჩეროს“

„ნამახვანჰესის ხელშეკრულებაში ვილაცამ დიდი ფული აიღო“

ასლან ბჟანია: „აფხაზეთის სტატუსის თემა დახურულია. ამაზე საქართველოსთან საუბარს არ ვაპირებთ“

გვ.4

ოკუპირებულ რეგიონში ოპონენტებმა დე ფაქტო პრეზიდენტის გადადგომის მოწოდებები განაახლეს

ლევან ალაფიშვილი: „ადგილობრივ არჩევნებს ოპოზიციისთვის დიდი იმედგაცრუება მოჰყვება“

გვ.4

ISSN 1987-9385

5 თბილისში უცხოელი ტურისტი ცემეს

5 იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებად თემურ გოგოხია, ლევან მიქაბერიძე, ბადრი შონია და გოჩა აბუსერიძე აირჩიეს

5 შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.184 ფაქტი გამოავლინა

6 სომხურმა მხარემ აზერბაიჯანის არმიის პოზიციებს ცეცხლი გაუხსნა

რატომ არ იღებს ხმას კალაძე გახარიაზე?!

პაატა ზაქარეიშვილი: „გახარია „ქართული ოცნების“ ნერვებზე თამაშობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესების მიმართ? საქართველოს მოსახლეობამ დამოუკიდებლობის დღე იზეიმა, თუმცა პარალელურად რუსთაველზე ვარლამ გოლეთიანმა და რიონის მცველებმა გამართეს საპროტესტო აქცია. სხვადასხვაგვარი შეფასებები მოვისმინეთ. რას იტყვით თქვენ?

– პირველ რიგში მინდა, თქვენს მკითხველს მივულოცო 26 მაისი. ეს ნამდვილად იმაზე დიდი დღეა, ვიდრე მივეჩვიეთ ჩვენ ამას. საქართველოში თუ რამე ბოლო 200-300 წელი მომხდარა, ეს არის სწორედ 26 მაისი.

– როდესაც ვიღაც შეეცდება, რომ ხალხს არ აზეიმოს ეს დღე და პროტესტი მოაწყოს რუსთაველზე, ეს რამდენად გამართლებულია?

– მე ასე არ შევხედავდი ამ საკითხს. ვიდრე საქართველოში არის იმ ტიპის პრობლემები, რომ ამ ადამიანს სწორედ 26 მაისს უნდა დაამთხვიოს ეს და საზოგადოების ნაწილი ამას ეხმაურება, ე.ი. აქ არის რაღაც პრობლემა. ამიტომ მე ასე მტკივნეულად არ აღვიქვამდი ამ პრობლემას. პირიქით, ამით მას ყურადღების მიპყრობა უნდოდა. სხვა საკითხია, მე ვეთანხმები თუ არ ვეთანხმები მის დამოკიდებულებას დიდ ჰესებთან თუ ნამახვანჰესთან მიმართებით, მაგრამ ის, რომ ეს თემა მტკივნეულია და ათასობით ადამიანი დაინტერესებულია ამ თემით, სწორედ ესაა 26 მაისის თემა! მე ვერ ვხედავ ვერანაირ ტრაგედიასა და მიუღებლობას, რატომ არ შეიძლება, 26 მაისი იყოს დღევანდელობის დღე და არა მაინცდამაინც 1918 წლის დღე.

– ანუ თქვენთვის არ იყო მიუღებელი მისი განცხადებები?

– არა. როცა ათასობით ადამიანი შეწუხებულია რაღაც თემით იმდენად, რომ შეუძლია, ქალაქიდან ქალაქში გადაადგილდეს, თბილისში ჩამოვიდეს, სიცხეში, სიცივეში, ქარში, ყინვაში გარეთ იდგეს, რათა რაღაც პრობლემა აქტუალური გახადოს, მაშინ ეს სწორედ 26 მაისის თემაა ნამდვილად და მე მგონია, რომ ეს სწორი გათვლა იყო. 26 მაისი დღევანდელობაა. ჩვენთვის 26 მაისი ყოველდღეა. როგორც აღდგომა და შობა ყოველდღეა ქრისტიანისათვის, ასევე ქართველისთვის 26 მაისი ყოველდღე უნდა იყოს, ვიდრე ჩვენი სახელმწიფოებრიობა არ მიაღწევს იმ დონეს, რომ 26 მაისი გახდება წარსული. ამ ახალგაზრდების აქტიურობაც სწორედ ამაზე იყო გათვლილი. გოლეთიანი გავიცანი და მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, თუმცა საზოგადოებაში დაგროვდა კითხვები და ამ კითხვებს

„გოლეთიანი გავიცანი და მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, თუმცა საზოგადოებაში დაგროვდა კითხვები და ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს“

პასუხი უნდა გაეცეს. საბოლოო მოტივაცია არ ვიცი, რატომ გადაწყვიტეს, დაბრუნდნენ ხეობაში, მაგრამ ფაქტია, მათ თბილისში ჩამოსვლით გარკვეული დღის წესრიგი შექმნეს, თემა გამოაფხიზლეს. ბევრი საკითხი წარმოაჩინეს ამ ახალგაზრდებმა თავიანთი აქტიურობითა და პროტესტით. ამიტომ მე ამ პროტესტს უფრო მივესალმებოდი, ვიდრე საეჭვოდ ჩავთვლიდი. თუ მართულია და ამას ვინმე ამტკიცებს, მაშინ მეტი ფაქტებია საჭირო.

– თქვენთვის მისაღები იყო ეს პროტესტი?

– ჩემთვის ნებისმიერი პროტესტი მისაღებია, თუ ის არ ლახავს ადამიანის უფლებებს, მის ღირსებასა და თავისუფლებას. ჩემთვის ისიც მიუღებელი იყო, აქციის მონაწილეებმა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები რომ არ დაუშვეს აქციაზე.

– ამ ბიჭმა და მისმა აქციამ ხელისუფლების წყრომაც დაიმსახურა და ოპოზიციისაც.

– კარგის ნიშანია, როცა არც ერთ მხარეს არ მოსწონხარ. ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. ამ პროცესმა სხვადასხვა ჯგუფში გამოიწვია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასება. ფაქტობრივად, თემა აწეულია. სპიკერი დასთანხმდა შეხვედრაზე, კომპანია მზადაა, ხელახლა განიხილოს საკითხები. თბილისში ჩამოსვლით საქმე ნამდვილად გააკეთეს. თუმცა მათ არ უნდა დაისახონ ისეთი მიზნები, რომელთა შესრულებაც შეუძლებელია. როცა ითქვა, ჩვენ მოვახდენთ თბილისის ბლოკირებას, პარალიზებასო, ეს ან მართლა უნდა გააკეთო, ან არ უნდა თქვა ასეთი რაღაცა, ხოლო როდესაც ამ ახალგაზრდებს რული ინტერესების გატარებას აბრალებ, მაშინ ეს უნდა დაამტკიცო. მე ვერ დავაბრალებ მათ ვერც პრორუსობასა და ვერც ანტითურქობას. კი ბატონო, რუსეთს ნამდვილად აწყობს, რომ საქართველოში არ იყოს ძლიერი ენერგეტიკული სისტემა, აწყობს, რომ არ იყოს დიდი ჰესები. მე მაინტერესებს, ჩვენ რა გვაწყობს, სულ არ მაინტერესებს, რუსეთს რა აწყობს და რა – არა. პრობლემას უნდა მოგვარება, უნდა მოლაპარაკებები, ქალაქის ბლოკირებით კი პრობლემების მოგვარება არ ხდება. დიალოგის პროცესია საჭირო. მე ამ ახალგაზრდების მხრიდან ვერ დავინახე დიალოგის სურვილი და ალტერნატიული ვარიანტები.

– ბატონო პაატა, საზოგადოება ასევე ელის გიორგი გახარიას გააქტიურებას. ის უმოკლეს ხანში გააკეთებს განცხადებას თავის სამომავლო გეგმებზე. რა მოლოდინი გაქვთ? ბევრი ფიქრობს, რომ მან დააგვიანა და დაღალა საზოგადოება. რას იტყვით თქვენ?

– ვინც ამბობს, რომ დაღალა საზოგადოება, ეს ის ხალხია, ვისაც გახარია არ მოსწონს. თუ ვინმე დაღალა, ეს არის „ქართული ოცნება“. სწორედ „ქართული ოცნების“ ნერვებზე თამაშობს. ხელისუფლების პირველმა პირებმა ძალიან მკვახედ შეაფასეს ეს პროცესი, რაც სწორედ მათ პანიკაზე მეტყველებს. ჯობდა, თავი შეეკავებინათ. გახარია რომ გააკეთებდა განცხადებას, მერე გამოეხატათ პოზიცია. გაყიდეს თავი ამ პანიკური განწყობებით და გახარია ამით გააძლიერეს. გახარიას მხრიდან თუ ეს სტრატეგიული ღუმილი იყო, მაშინ მან სწორად გათვალა.

– წყობიდან გამოიყვანა ხელისუფლება?

– ნამდვილად წყობიდან გამოიყვანა და დააწყვინა ისეთი მოქმედებები, როგორიცაა რეგიონებში საჯარო სამსახურებიდან ადამიანების გათავისუფლება. გახარიას მისცეს იმის საბაბი, რომ გამოვიდეს და გადაუაროს ხელისუფლებას, რას აკეთებთ ხალხო, არ გრცხვენიათ?! გახარიას ძალიან ბევრი თემა დაუბრუნდა, რათა გააკეთოს განცხადებები „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. გახარიას ფორა მისცეს. „ქართული ოცნება“ ყალიბდება ბოლშევიკურ პარტიად. ისინი განსხვავებულ აზრს ვერ იტანენ. ამიტომ, დღეს თუ ვინმეს წაართმევს გახარია ხმას, რა თქმა უნდა, ეს არის „ქართული ოცნება“! რა თქმა უნდა, გახარია ვერ გაიმარჯვებს, მაგრამ 8 იქნება თუ 10%, რასაც გახარია აიღებს, ეს ის კრიტიკული პროცენტებია, რომლებიც „ოცნებას“ დააკლდება. დღეს „ქართული ოცნება“ პანიკასა და ისტერიკაში რომ არის, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ითვლიან ამ პროცენტებს. ციფრები რომ მათ სასარგებლოდ იყოს, მშვიდად იქნებოდნენ. ასევე აშკარად ჩანს, რომ ივანიშვილი ნამდვილად არ არის გახარიას მხარეს.

– თქვენ ასე დაინახეთ?

– დიახ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე დაარტყამდნენ „ოცნების“ ლიდერები გახარიას. ისე დარაზმულად გამოვიდა ყველა გახარიას წინააღმდეგ, გარდა კალაძისა, რომ აშკარად ჩანს, მათ აქვთ კარტბლანში და თავისუფლება, გახარიას გადაუარონ.

– გარდა კალაძისაო. კალაძე არ ურტყამს გახარიას?

– ეს არ ჩანს, არსად შემინიშნავს, რომ კალაძეს რაიმე კრიტიკული ეთქვას გახარიას მისამართით. ზოგადად, კალაძე თავს არიდებს პოლიტიკურ განცხადებებს. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის გენერალური მდივანია, ის ლაპარაკობს მხოლოდ ქალაქზე, საუბრობს, როგორც მერი. ის მერობისთვის ემზადება. დღეს კალაძე „ქართულ ოცნებას“ სჭირდება, როგორც გადარჩენა. კალაძე თუ არ იქნება მერობის კანდიდატი, სხვა შემთხვევაში აგებს „ოცნება“. კალაძეს ბევრ რამეს უთმობენ. ისიც ძალიან საინტერესოა, კალაძე ხმას რომ არ იღებს გახარიაზე.

– შესაძლოა, კალაძე გახარიასთან წავიდეს?

– კალაძეს არაფერში სჭირდება გახარიასთან წასვლა. გახარიამ შეიძლება მოინდომოს თავის გუნდში კალაძე, კალაძეს კი არაფერში სჭირდება მასთან წასვლა. „ქართულ ოცნებაში“ დღეს კალაძე ყველაზე ძლიერი ფიგურაა. მას შეუძლია, დამოუკიდებელი თამაში წამოიწყოს და სულ ჩამოაქციოს „ოცნება“. დღეს თუ ვინმეს შეუძლია, ჩამოაქციოს და ბოლო მოუღოს „ქართულ ოცნებას“, ეს არის კალაძე. კალაძეს გახარიასთან წასვლა კი არ უნდა, ყველა ინატრებს კალაძესთან წასვლას. კალაძე თუ ცალკე წავიდა, აქეთ ცალკე გახარია და „ოცნებას“ არანაირი შანსი არ რჩება, 43% კი არა, 30% რომ აიღოს.

– რას ელით?

– გახარია აუცილებლად ითამაშებს ოპოზიციურ ფლანგზე. მისი გუნდის განცხადებები ოპოზიციური ფლანგიდანაა გამოსული. გახარია ნამდვილად არ არის ივანიშვილის პროექტი. საკაშვილისგან განსხვავებით, რომელმაც გადაუარა შევარდნაძეს, როდესაც ის მისი ბუდიდან გადმოფრინდა, გახარია ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს.

– გახარიასგანაც სწორედ ამას მოითხოვენ, თუ ის არ არის ივანიშვილის პროექტი, მაშინ მკვეთრად უნდა დაარტყასო.

– ამას ამბობს მხოლოდ ის ხალხი, ვინც ვერ იტანს გახარიას ან ეშინია მისი, თორემ გახარია ძალიან ჭკვიანურად იქცევა. მას არაფერში სჭირდება ივანიშვილზე დარტყმა. დარტყმა ვიღაცაზე სულაც არ ნიშნავს შენს სიძლიერეს. პირიქით, ჯობია, პირველი დარტყმა შენ მიიღო. გახარიას ათასჯერ ურჩევნია, რომ პირველმა სწორედ ივანიშვილმა დაარტყას. ამიტომ ის ჩუმად არის და ალბათ ასეც გააგრძელებს. მე მომწონს გახარიას სტრატეგიული ნაბიჯები.

სალომე ზურაბიშვილი: „26 მაისი 25 თებერვალზე იმარჯვებს“

– 26 მაისი 25 თებერვალზე იმარჯვებს. გამარჯვებაა, რომ ამ ქვეყანამ ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველა უმძიმეს გამოწვევას გაუძლო – ომს, მისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას, პროვოკაციებს. ქვეყანამ შეძლო, საკუთარ არჩეულ გზაზე ისე ევლო, რომ არ შეჰპუებოდა დაბრკოლებას, მუქარასა თუ დაღმასვლას.

ამის შესახებ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ, 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– 2021 წლის 26 მაისს ვზეიმობთ 30 წლის წინ აღდგენილ საქართველოს დამოუკიდებლობას, 70 წლიანი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დასრულებას. სიმბოლურია, რომ 100 წლის შემდეგ, სწორედ დამოუკიდებლობის დღეს ბრუნდება საქართველოში ქართული ჯარის მთავარსარდალი, რომელიც რუსული მე-11 არმიის თავდასხმისა და ოკუპაციის შედეგად იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. საზეიმო დღეა, რამეთუ 100 წლის შემდეგ, ქართული ჯარის დამფუძნებელი კადეტთა სკოლის დამაარსებელი და დამოუკიდებელი საქართველოს მთავარსარდალი პანთეონში ქვეყნის გამოჩენილი და დამსახურებული შვილების გვერდით, კუთვნილ ადგილს იკავებს. ამდენად, სახელმწიფო პატივს მიაგებს გენერალ კვინიტაძის ცხოვრებისეულ უკომპრომისო ბრძოლას და სამხედრო თავდადებას.

ეს დღე ასევე ეძღვნება დამოუკიდებლობისთვის ქართული ჯარის დაუღალავ და საუკუნოვან ბრძოლას, ყველა ჩვენს ეროვნულ გმირს, მათ შორის, მათაც, ვისაც საფლავი არ ეღირსა, მაგრამ ჩვენს მეხსიერებაში სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა. მინდა ეს დღე და ესოდენ დიდი ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა მოგილოცოთ თქვენ. საქართველოს ჯარისკაცებო, თქვენ, ვინც დღეს ფიცს დებთ, რომ ერთგულად და შეუდრეკლად ემსახუროთ სამშობლოს. მინდა გისურვოთ, რომ მუდამ წინ გიძღოდეთ გენერალ კვინიტაძის მაგალითი.

უნდა გვახსოვდეს გენერალი კვინიტაძის სიტყვები და რა თვისებებს ითხოვდა ის ქვეყნის სამსახურში მყოფი ჯარისა და ჯარისკაცებისგან, სწორედ ასეთი თვისებები გამოავლინეს ჩვენმა ჯარისკაცებმა დამოუკიდებლობის მძიმე 30 წლის განმავლობაში, ყველა მძიმე ბრძოლაში, ომში თუ სამშვიდობო მისიაში. ძალიან ხშირად უსამართლო და უთანასწორო ბრძოლებში ჩვენმა ჯარისკაცებმა თავი გამოიჩინეს და ყველგან ასახელეს ქვეყანა.

საერთაშორისო მისია ავღანეთში მალე დასრულდება. მინდა, სახელმწიფოს სახელით ყველა იქ მებრძოლს ღირსეული მსახურებისთვის მადლობა გადავუხადო და პატივი მივაგო ჩვენს ვაჟკაცებს. 26 მაისია და გენერალი გიორგი კვინიტაძე თავის საოცნებო ქვეყანაში დაბრუნდა, იგი ბრუნდება თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ, თავისი კულტურითა და იდენტობით ამაყი, ევროპასთან დაახლოებულ და მის ფასეულობებთან შერწყმულ საქართველოში.

ეს თავისთავად გამარჯვებაა 70 წლიან ოკუპაციასა და საბჭოთა დაპყრობის ტრაგედიაზე. 26 მაისი 25 თებერვალზე იმარჯვებს. გამარჯვებაა, რომ ამ ქვეყანამ ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველა უმძიმეს გამოწვევას გაუძლო, გაუძლო ომს, მისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას, პროვოკაციებს, ქვეყანამ შეძლო, საკუთარ არჩეულ გზაზე ისე ევლო, რომ არ შეჰპუებოდა დაბრკოლებას, მუქარასა თუ დაღმასვლას. ამ ურთულეს რეგიონში საქართველო მტკიცედ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, სახელმწიფოებრიობასა და სუვერენობას, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

გენერალ გიორგი კვინიტაძის ნეშტი მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს

გუშინ, 26 მაისს, საქართველოს ეროვნული გმირი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, სამხედრო პატივით მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გვერდით დაკრძალეს.

გიორგი კვინიტაძის ნეშტი საქართველოში 22 მაისს გადმოასვენეს. გენერლის სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში იმართებოდა. გიორგი კვინიტაძის ნეშტი გუშინ სწორედ სამებიდან გამოასვენეს.

ცერემონიას მთავრობის წარმომადგენლები, ოჯახის წევრები, საპატრიარქოს წარმომადგენლები და ოპოზიციის წევრები ესწრებოდნენ.

გენერლის დაკრძალვასთან დაკავშირებით პატრიარქის სიტყვა წაიკითხა მეუფე შიომ.

„უცხოეთში გადახვეწილი, გაჭირვებაში მცხოვრები, გულგატეხილი მხედართმთავარი, სიმბოლო ვაჟკაცობისა, გონიერებისა და თავდადებული მოღვაწეობისა, სიცოცხლეში ალბათ ვერც იოცნებებდა ასეთ დაბრუნებაზე; ვერ იოცნებებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დამაშვრალი, სწორედ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს პატივით მიებარებოდა სამშობლოს მიწას.

მისი ბიოგრაფია ერთხელ კიდევ ყველას გვახსენებს, რომ არ შეიძლება პირადულ და ვიწრო პარტიულ ინტერესებს ქვეყანა და საქვეყნო საქმეები შეეწიროს, რომ უმთავრესია სწორი ორიენტირების შენარჩუნება და ჩვენი ცხოვრებით ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის მსახურება, რა საქმიანობასაც არ უნდა ვეწეოდეთ და სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ“, – ნათქვამია განცხადებაში.

საფრანგეთიდან წინაპრის ნეშტი თბილისში შვილიშვილებმა ჩამოაცილეს.

პოლონეთმა ბელარუსის თვითმფრინავებს პოლონეთის თავზე ფრენა აუკრძალა

პოლონეთის მინისტრთა კაბინეტმა ბელარუსის თვითმფრინავებს თავისი ქვეყნის ტერიტორიის თავზე ფრენა აუკრძალა.

ამის შესახებ გუშინ, 26 მაისს, პოლონეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პეტრ მიულერმა განაცხადა.

„მინისტრთა კაბინეტმა აკრძალა პოლონეთის საჰაერო სივრცეში თვითმფრინავების შესვლა, რომელთა ექსპლუატაციასაც ბელარუსი გადამზიდავები ახორციელებენ. ეს არის სანქციის რეალიზაციის ელემენტი, რომელთა შესახებაც თავის დროზე ითხოვდა პოლონეთის პრემიერ-მინისტრი მატეუშ მორავეცკი“, – წერს მიულერი „ტვიტერის“ გვერდზე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მამუკა ახვლედიანი: „სასამართლო დანაშაულებრივი დაჯგუფებაა“

„რევოლუციური ცვლილებებია საჭირო, რასაც პოლიტიკური ნება სჭირდება... ამ ხელისუფლებისგან ეს შეუძლებელია“

იაგო ნაცვლიშვილი

იმ ფონზე, როდესაც შარლ მიშელის შეთანხმების თანახმად, სასამართლო რეფორმა უნდა განხორციელდეს, სასამართლო კორპუსი პროცესებს არ აჩერებს და ე.წ. სასამართლო კლანი გავლენებს იძლიერებს. გუშინ მოსამართლეთა კორპუსმა იუსტიციის საბჭოს 4 მოსამართლე წევრი აირჩია, თანაც მათ ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობა მიიღეს. თემურ გოგოხიამ 278 ხმა მიიღო, ბადრი შონიამ — 281, გოჩა აბუსერიძემ — 274, ხოლო ლევან მიქაბერიძემ — 283. საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი ამბობს, რომ ასეთი მობილიზება არ ახსოვს. როგორ უნდა გავიგოთ სასამართლო კორპუსის დემარში და რჩება თუ არა ვითარების განეიტრალების ბერკეტები? — ამ და სხვა საკითხებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე მამუკა ახვლედიანი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

— მოსამართლეთა კორპუსმა იუსტიციის საბჭოს 4 ახალი მოსამართლე წევრი აირჩია. იმ ფონზე, როდესაც სასამართლო რეფორმაა დაანონსებული, რას ნიშნავდა ეს გადაწყვეტილება?

— სამწუხაროდ, ძალიან ცუდად განვითარდა მოვლენები და სასამართლო ხელისუფლებამ კიდევ ერთი შანსი გაუშვა, რომ სწორ გზას დასდგომოდა, ყოველ შემთხვევაში, დალოდებოდა მაინც სამოქალაქო სექტორს და თუნდაც პარლამენტსა და პოლიტიკურ წრეებს. ვერ ვიტყვი, რომ მან (სასამართლო კორპუსმა) დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ დაასწრო მოვლენებს. იცის, რომ ეს პროცესები გაჩერდება და ცდილობს, მეტი პოზიციები ჰქონდეს აღებული. ეს ხალხი არ ემსახურება ამ ქვეყნის ინტერესებს. მათ მხოლოდ პირადი ინტერესები და საკუთარი ძალაუფლება ამოძრავებთ. ჩვენი ქვეყნის უბედურება ის არის, რომ ამ ხნის განმავლობაში ვერ მოვახერხეთ სასამართლოს დამოუკიდებლობა. ყველაფრის სათავე არის სასამართლო, მაგრამ სასამართლო არ იცვლება პოლიტიკური ნების გარეშე. სამწუხაროდ, არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს არ აღმოაჩნდა ნება, რომ სასამართლო დამოუკიდებელი გამხდარიყო.

— ანუ ეს ემსახურება იმას, რომ სასამართლოში კლანი კიდევ უფრო გაძლიერდეს?

— მე კიდევ უფრო მძიმედ ვიტყოდი. კლანი, შესაძლოა, საწყის ეტაპზე იყო, ახლა უფრო დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის სახე მიიღო ამ ყველაფერმა. გარკვეული ჯგუფის ხელში აღმოჩნდა მთელი ძალაუფლება სასამართლო სისტემაში და უბრალოდ აღარ არსებობს განსხვავებული აზრი. ყველა განსხვავებული აზრი ისპობა და თავისუფლდება სასამართლო მისგან სხვადასხვა ბერკეტით. ამიტომ რეალურად კიდევ უფრო ცუდად არის საქმე, ვიდრე კლანია. კლანის გაგება კიდევ შეიძლება, ვიდრე იმის, რაც დღეს ხდება.

— თქვენ თუ იცნობთ იმ კონკრეტულ მოსამართლეებს, რომლებიც დღეს აირჩიეს?

— დიახ, ვიცნობ, მაგრამ ამწუთში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სახელებსა და გვარებს. უსახურია საბჭო და არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებს, არც ერთ ინდივიდს არ მიუღია დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და არც იღებს. დარწმუნებული ვარ, ახლაც ვერ მიიღებდა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას. ერთ-ერთი თავისი ქმედებების გამო პროკურატურაში დადიოდა, მაგრამ ამწუთას მოაგვარა.

— რომელი?

— რა მნიშვნელობა აქვს გვარებს?! ყველამ ყველაფერი კარგად იცის. არც დამალული ყოფილა ეს. ახლა აღმოჩნდა, რომ საბჭოს წევრადაც აირჩიეს თვითონ მოსამართლეებმა, როცა რამდენიმე წლის წინ დაპატიმრებასაც კი ელოდებოდა.

— მათ ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობა მიიღეს. ნაზი ჯანეზაშვილი აცხადებს, კარგად იმუშავა მურუსიძემ და ეს იმას ნიშნავს, რომ პოზიციებს იძლიერებენო.

— დიახ, ასეა. პოზიციებს იძლიერებენ და, რა თქმა უნდა, ამით ხდება დემონსტრირება შიგნით. თავდაცვის რეჟიმში არიან და გადარჩენისთვის იბრძვიან. მათ იციან, რომ ცვლილებისა და პროცესების სწორად წარმართვის შემთხვევაში, შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი პასუხისგებაშიც კი მიეცეს. ამიტომ ისინი არ დათმობენ პოზიციებს.

— ასეთი მაღალი მხარდაჭერა საბჭოს წევრების მიმართ არ მახსოვსო, ამას ამბობს ჯანეზაშვილი.

— ამ ჯგუფმა აჩვენა ძალა. შესაბამისად, ფაქტობრივად იძულებული გახადეს... ტყვედ ჰყავთ სასამართლო სისტემის დიდი ნაწილი და ვერ ვხედავ, რომ ასე არ იქნებოდა, ეჭვიც არ მეპარებოდა. სასამართლო სისტემაში განსხვავებული აზრი საერთოდ მოსპეს და ყველა მოსამართლეს შეუქმნეს ილუზია, რომ ის იხილავს ინდივიდუალურ საქმეებს. შესაძლოა, 10-დან 8-ზე გადაწყვეტოს, მაგრამ, როცა მოუნდებათ ხელმძღვანელობიდან ან პოლიტიკურად როდესაც საჭირო იქნება და როგორი გადაწყვეტილებაც, ისეთს მიაღებინებენ და ამაზე თანახმა არიან.

— აღნიშნეთ, რომ უკვე ორგანიზებულ დაჯგუფებად იქცა და ისიც თქვით, რომ განსხვავებული აზრი მოსპეს. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში ფაქტობრივად დიქტატურა ჩამოაყალიბეს?

— კი ბატონო. არა მარტო ამ ხელისუფლების დროს ხდება ასე. ეს ჯგუფი შეკრული იყო წინა ხელისუფლების დროსაც. დათვალეთ, ჯამში, რამდენი წელია, რაც ეს ჯგუფი მართავს სასამართლო სისტემას. ამიტომ 2007 წლიდან მართავენ სიტუაციას, 14-15 წელია, სასამართლოს განაგებენ.

— საინტერესოა, როგორ დაუშვა ამ ჯგუფმა თბილისის საქალაქო სასამართლოს თქვენი თავმჯდომარეობა?

— იქამდე რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ვიყავი. ეს იყო ექსპერიმენტული სასამართლო, სადაც იყო სიახლეები, აუდიოჩაწერები და ა.შ., ყველაფერი ის, რაც შემდგომში გაკეთდა.

2012 წელს ეს მოსამართლეები, რომლებიც ახლა წინა პოზიციებზე არიან, საკუთარი კაბინეტებიდანაც კი ვერ გამოდიოდნენ კვირების განმავლობაში და კითხვები ჰქონდათ, როდის დაკავებდნენ. სხვა გზა მათ არც ჰქონდათ. იქ მართლა სჭირდებოდათ დამოუკიდებელი მოსამართლე. ბევრი ვიფიქრე ამაზე წინა პერიოდში და ჩავთვალე, რომ სასამართლოს ფეხზე დადგომის შანსი იყო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გვეუბნებოდნენ, როდესაც ხელისუფლება იცვლება, ეს იწვევს სასამართლოს გაძლიერებას, ზოგადად ასეა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიო. ჩავთვალე, რომ ეს შანსი იყო, როდესაც ძველი კავშირები გაწყდა, ახალი კავშირები არ არსებობს და შეეძლო სასამართლოს, 2012-15 წლის პერიოდში, სწორი სვლის პერიოდში სწორად განვითარებულიყო მოვლენები, მაგრამ ისევ შეძლო ამ ჯგუფმა გავლენების მოპოვება, არ ვიცი, ინტრიგების, კორუფციისა თუ ნეპოტიზმის დახმარებით მან ისევ ჩაიგდო ძალაუფლება ხელში და ისევ შეეკრა არსებულ ხელისუფლებას.

— პარლამენტში შესული ოპოზიცია ამბობს, რომ რა ცვლილებებიც არ უნდა მიიღოს იუსტიციის საბჭომ და მოსამართლეთა კორპუსმა, მაინც რჩება ბერკეტი, რომ სასამართლოში გატარდეს რეფორმები. თქვენ როგორ ფიქრობთ, კიდევ არის შესაძლებლობა, რომ ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს?

— ახლა უკვე რევოლუციური ცვლილებების გარეშე ეს შეუძლებელია. რევოლუციურ ცვლილებებში ვგულისხმობ მკვეთრ ცვლილებებს. ამის გარეშე ამ სისტემის შეცვლა შეუძლებელია. ამ შეთანხმების ფარგლებში რაც არის, ეს ვერ შეცვლის სისტემას რადიკალურად. ხედავთ, რომ პროცესის შეჩერებასაც ვერ ახერხებენ, მიუხედავად შეთანხმებისა და ევროპელებისა და ამერიკელების ჩართულობისა. ვერაფრით მოახერხეს პროცესის გაჩერება, არათუ ცვლილებების განხორციელება. ამ პირობებში ამ ტიპის სასამართლოდან ამ ჯგუფის ჩამოშორება როგორ წარმოგიდგენიათ?!

— პოლიტიკური ნება თუ იქნება?

— ერთადერთი ეს არის. მხოლოდ პოლიტიკური ნება შველის ამ საკითხს. სხვა საკითხი ამწუთში არ არსებობს. როგორც ვხედავ, ამას ალბათ სჭირდება პოლიტიკური ცვლილებები, რათა შეიცვალოს სასამართლო სისტემაც. იმავე ხელისუფლების პირობებში, მიმაჩნია, რომ ეს შეუძლებელია.

„ნამახვანჰესის ხელშეკრულებაში ვიღაცამ დიდი ფული აიღო“

ჯონდი ბაღათურია: „ხელისუფლებამ აღნიშნული პროექტის განხორციელება უნდა შეაჩეროს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.

— ბატონო ჯონდი, ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართულ აქციას მხარს უჭერთ? როგორ აფასებთ აქციის ორგანიზატორების ტაქტიკას?

— ხელისუფლებამ და მისმა მოკავშირე ოპოზიციური სპექტრის ნაწილმა (ვისაც ხელისუფლება პარტნიორად იყენებს), ე.წ. ლიბერალურმა ოპოზიციამ, ხალხთან საბრძოლველად ყველაზე უსინდისო ტექნოლოგია აირჩიეს.

— რას გულისხმობთ?

— აქციაზე პოლიტიკოსები არ არიან. იქ არიან რიონის ხეობის მცხოვრები, გულწრფელი, მორწმუნე ადამიანები (გლეხები, პედაგოგები), რომლებიც ყოველგვარი პოლიტტექნოლოგიების გარეშე, პირდაპირი გაგებით საკუთარ სახლკარს, სამშობლოს იცავენ. ხელისუფლებამ და ე.წ. ლიბერალურმა ოპოზიციამ ხალხს დააბრალა, თითქოს ხალხი იქ ჰესების წინააღმდეგ გამოდის. მგონი, ამას გულწრფელი ადამიანები ხედავენ, მაგრამ ეფექტურ წინააღმდეგობას ვერ უწევენ.

— არის განცხადებები, რომ საქართველოში არც ერთი ჰესი აღარ უნდა აშენდეს. აქედან გამომდინარე, დაბრალება რამდენად გამოდის? მე პირადადაც მოვისმინე ასეთი განცხადება.

— ცალკეული პირის განცხადება და წამონასროლი არ ნიშნავს, რომ ორგანიზატორებისა და ხალხის უმრავლესობის აზრია ჰესები არაშენება. მოგიწოდებთ, ნუ მოექცევით „ქართული ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის პოლიტტექნოლოგიების ზეგავლენის ქვეშ.

— მე ორივე მხარის პოზიციებიდან გამომდინარე ვსვამ კითხვებს.

— თქვენი ნათქვამი მაჩვენებელია იმისა, რომ ხელისუფლება ეფექტურად იბრძვის ამ მიმართულებით. თქვენც კი დაიჯერეთ ხელისუფლების ნათქვამი.

— ხელისუფლების ნათქვამი კი არ დავიჯერე, აქციიდან პირდაპირი ჩართვა იყო და აქციის ერთ-ერთი მონაწილის ნათქვამი მოვისმინე. ამ შემთხვევაში ხელისუფლება რა შუაშია?

— ხელისუფლებამ შეიძლება აქციაზე მიაგზავნოს თავისი კაცი. ისიც დადგეს აქციის ფონზე და ათასი სისულელე ილაპარაკოს.



— არ ვიცი, შეკვეთილი განცხადება იყო თუ არა, მე გითხარით ის, რაც აქციის მონაწილემ ილაპარაკა.

— ეჭვი მაქვს, შეკვეთილი იყო, რადგან ორგანიზატორების მხრიდან ასეთი განცხადება არ მომისმენია. ცალსახად უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჰესები გვჭირდება. ვინც ამბობს, ჰესები არ გვჭირდებაო, ის ან სულელია, ან შეგნებულად აკეთებს ამგვარ განცხადებებს, რომ სახალხო წინააღმდეგობის დისკრედიტაცია მოახდინოს. ისინი თავიანთ სახლ-კარს იცავენ, ამით კი — სამშობლოს.

ჰესები გვჭირდება, მაგრამ აქ ბრძოლაა იმ ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელსაც, მტერი უნდა იყო, შენი სამშობლო უნდა გძულდეს, შენი ხალხი და შენი სახელმწიფო არ უნდა გიყვარდეს, ხელი რომ მოაწერო. ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ მიმდინარეობს დღეს ბრძოლა.

ეჭვი მქონდა და, თქვენს ნათქვამს რომ მოვუსმინე, დავრწმუნდი, ხელისუფლება უფრო ეფექტურია ხალხის წინააღმდეგ, ვიდრე ხალხის პასუხი. ხალხი კი აცხადებს, ჩვენ ამას არ ვამბობთო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ისეთი ეფექტური არ არის.

— თქვენ, ალბათ, იცით პირადად აქციის ორგანიზატორების მოთხოვნები და აზრი. ამ ხელშეკრულებას უარყოფითი მხარეები რომ ჩამოვაცილოთ, პროექტის განხორციელება შეიძლება?

— ასე უნდა მოხდეს. მსჯელობის საგანი აქამდეც ხელშეკრულების გარკვეული მუხლების შეცვლა უნდა ყოფილიყო, არა ჩუმად, არამედ საჯაროდ, საზოგადოებასთან დიალოგით. პირველია ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხი. უსაფრთხოების გარანტია უნდა იყოს ტექნოლოგიურად დასაბუთებული. ჩვენ ჰესები გვჭირდება, მაგრამ გვჭირდება ჯანმრთელობაც.

ჰესები სახელმწიფოსთვის გვჭირდება და არა ვიღაც ქართველის, არაბის, ფრანგისა თუ რუსის, თუნდაც დიდი პატრიოტის გამდიდრებისთვის. ჰესმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს ენერგოსტაბილურობა, უსაფრთხოება და მოსახლეობისთვის დაბალი ტარიფებით ელექტროენერგიის მიწოდება, რაც იაფ, კონკურენტულ ეკონომიკას ნიშნავს.

მეორე მხრივ, ვიღაცამ ფული უნდა იშოვოს. ღმერთმა ქნას, რომ ბევრი იშოვოს, მაგრამ ნამახვანთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულება ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგებას არ უზრუნველყოფს, რადგან გამომუშავებული ელექტროენერგიის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გავა და იქ გაიყიდება. ეს ხელშეკრულება ასევე არ უზრუნველყოფს იაფ ელექტროენერგიას.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტარიფი, 6 თეთრი, ორნახევარჯერ ძვირია, ვიდრე რეალური ფასია. ჩვენ შეგვიძლია ამაზე უფრო იაფად შემოვიტანოთ ელექტროენერგია. რომ ვთქვათ, დადებითი სავალუტო ბალანსის დაჭერისთვისაა კარგი, ქვეყნიდან ვალუტა არ გაედინებაო, ასეც არაა, ვალუტაც გაედინება. ამ ჰესის გამომუშავებულ ელექტროენერგიაში უფრო ძვირს გადავიხდით, ვიდრე შემოტანილში. ვალუტაც გაედინება, რადგან უცხო ქვეყნის იურიდიული პირია ამ ბიზნესის კომპანია, ანუ ქვეყნისა და ხალხისთვის არანაირი სარგებელი არ არის.

ქართველი იქნება თუ უცხოელი, ფული უნდა იშოვოს (ამას წინააღმდეგობას არავინ უწევს და არც უნდა გაუწიოს. 800 მილიონს ტყუილად არავინ დახარჯავს), მაგრამ, პირველ რიგში, ხალხმა და სახელმწიფომ უნდა იხეიროს. ხალხს ეს არ უნდა. მთელი ერი ფეხზე დგას. ხუთმა კაცმა რომ ისარგებლოს ფარულად, კორუფციულად, ამის გამო უნდა აშენდეს ასეთი ჰესი?

— სოციალურ ქსელში წერდნენ, რუსული კომპანიების მიმართ რატომ არ გამოთქვამენ პროტესტს, ჩვენი ენერგეტიკული ობიექტების 70% რუსული კომპანიების (მათ შორის, სახელმწიფო კომპანიების) ხელში რომ არისო.

— მარტივი პასუხია: რუსეთს აქ არც ერთი ჰესის მშენებლობა არ წამოუწყია. ჩვენი ენერგეტიკული ობიექტების დაახლოებით 65-70% რუსებს სააკაშვილმა და მისმა ბანდამ ფარულად გადასცა, როცა ისინი იყვნენ ხელისუფლებაში. ჰესების მშენებლობა არ დაუწყიათ, არსებული ენერგოობიექტები გადასცეს, მათ შორის, ძირითადად, გადაცემულია ელექტროენერგიის გადამტანი ხაზები.

— სხვა კომპანიებიც არის გადაცემული.

— ეს არის ტრანზიტი და შიდა ქსელები.

„თელასი“ გახდა „რაოესი“. „თელასის“ მფლობელი ჯერ ამერიკული კომპანია გახდა, შემდეგ კი „თელასი“ ამერიკულმა კომპანიამ რუსულ კომპანიას მიჰყიდა. აქაც მაქსიმალურად უნდა ვაკონტროლოთ სიტუაცია. ჩვენთვის ახლა არა აქვს მნიშვნელობა, ინვესტიცია უცხოური იქნება თუ ქართული. ინვესტიცია კარგია, მაგრამ, როცა საქმე სტრატეგიულ ობიექტებს ეხება, ძალიან ფრთხილად და ყურადღებით უნდა ვიყოთ.

როგორც კი სტრატეგიულ ობიექტს ასხვისებ, შემდეგ ხელიდან ხელში გადაცემას ვეღარ აკონტროლებ. ამის საუკეთესო მაგალითია „თელასი“. ამერიკელმა ბიზნესმენმა რუს ბიზნესმენს მიჰყიდა. მორჩა კინო.

— ამ აქციის ორგანიზატორები ყველაფრის სპეციალისტები ხომ არ არიან? რატომ არ ქმნიან, ვთქვათ, საზოგადოებრივ კომისიას, რომელშიც შევლენ მაღალი დონის, სანდო, კომპეტენტური სპეციალისტები, ექსპერტები (იურისტები, ეკონომისტები, ეკოლოგები, ინჟინრები), რომლებიც დადებენ კომპეტენტურ დასკვნას და ამ ექსპერტებთან ერთად რატომ არ ელაპარაკებიან ხელისუფლებას?

— ჩვენი უპირველესი ამოცანაა, წამოწყებული მშენებლობა შეჩერდეს, ხოლო შემდეგ შეიძლება გადავიდეთ იმ სიბრტყეში, რასაც თქვენ ამბობთ. რასაც თქვენ ამბობთ, მეორე საფეხურია. ჯერ მშენებლობა შეჩერდეს და შემდეგ ხელშეკრულების განხილვა დავიწყოთ. ამ ხელშეკრულებას არავითარი ექსპერტიზა არ უნდა.

ნებისმიერი გლეხი, პედაგოგი თუ ექიმი, რომელმაც არ იცის ენერგეტიკა, მიხვდება, რომ, ერთი მხრივ, 6 თეთრი ძალიან ძვირია; მეორე მხრივ, ელექტროენერგიის დიდი ნაწილი საქარ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ადგილობრივ არჩევნებს ოპოზიციისთვის დიდი იმედგაცრუება მოჰყვება“

ლევან ალაფიშვილი: „ნიკა მელიას აქვს უფლება, უარი თქვას ამნისტიაზე, მაგრამ სასამართლო პროცესი გაგრძელდება, რომელიც შეიძლება დასრულდეს როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი განაჩენით“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ, ამნისტიის შესახებ კანონპროექტს მიიღებს პარლამენტი? მამუკა ხაზარაძე აცხადებს, თუ ეს კანონპროექტი არავის სურს, ჩვენ – მით უმეტესო.

– ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს, მიშელის დოკუმენტში ამნისტია წერია, რომელსაც ხელი მოაწერეს პოლიტიკოსებმა. ამის შემდეგ „ლელო“ გამოვიდა ინიციატივით, რომ 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისია შექმნილიყო, რაც იმთავითვე გამორიცხავს ამნისტიას.

საზოგადოებისთვის ცნობილი იყო, რომ მიშელის დოკუმენტში ამნისტიისა და შეწყალების ჩადება შეეხებოდა მხოლოდ ნიკა მელიასა და გიორგი რურუას და არ იგულისხმებოდა საყოველთაო ამნისტია. საყოველთაო ამნისტია მხოლოდ ბოლო ეტაპზე გაჩნდა, როგორც ჩანს, ხელისუფლების მოთხოვნის საფუძველზე. ამ ბოლო ნაწილზე ხელმომწერმა პოლიტიკოსებმა საზოგადოება არ ჩააყენეს საქმის კურსში, რაც იყო დიდი შეცდომა. რაც შეეხება ნიკა მელიას, მას აქვს უფლება, უარი თქვას ამნისტიაზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში სასამართლო პროცესი გაგრძელდება, რომელიც შეიძლება დასრულდეს როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი განაჩენით.

ვფიქრობ, სახელმწიფოს ახალ ეტაპზე გადასასვლელად უნდა შევძლოთ შეცდომების აღიარება ყველა მხრიდან, შემდეგ კონსენსუსის მიღწევა და სახელმწიფოს მართვის დაწყება ე.წ. თეთრი ფურცლიდან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ უკვე შიდა გამოწვევები იმდენად მძაფრია, ასევე საერთაშორისო საფრთხეების გათვალისწინებით, რომ შეიძლება, სახელმწიფოებრიობას დაემუქროს საფრთხე.

– ნაციონალურ მოძრაობას გაუგრძელდა პარლამენტში შესვლა– არშესვლის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. ხომ არ ფიქრობთ, რომ დროს სპეციალურად ახანგრძლივებენ?

– ნახა ნაციონალურმა მოძრაობამ ის ზიანი, რომელიც მიადგათ ხელმომწერ პარტიებს, განსაკუთრებით ამნისტიის ნაწილში. ძალიან რთულ მდგომარეობაში არიან. აშკარაა, უჭირთ გადაწყვეტა, თუ რა ნაბიჯი გადადგან. სავარაუდოდ, ფიქრობენ გარკვეულ კომბინაციაზე, რომელიც არ დააკარგვინებს ამომრჩევლებს, მხარდამჭერებს. მყარი ელექტორატის დაკარგვა, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს, ცხადია, ძალიან რთული იქნება და ამიტომ ფიქრობენ ამდენს.

ნიკა მელიას ბოლო განცხადებები მაფიქრებს, რომ ისინი მიშელის დოკუმენტს ხელს გარკვეული დათქმით მოაწერენ, რათა საერთაშორისო პარტნიორებთან არ გაუჩნდეთ შემდეგ პრობლემა. ამიტომ, არა მგონია, ხელი საერთოდ არ

მოაწერონ, რადგან ეს იქნება საერთაშორისო პარტნიორების ერთგვარი „გადაგდება“.

რაც შეეხება პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით დროის გაწელვას, დიახ, ეს ასეა და გეტყვით, ამით რას იგებს ნაციონალური მოძრაობა: საპარლამენტო საქმიანობა გრძელდება. ვხედავთ, როგორ იღებს პარლამენტი იმ კანონებს, იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ არის მისაღები. მაგალითად, საარჩევნო კოდექსს უყარეს კენჭი, რაზეც პასუხისმგებლობა თავისთავად აიცილა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელზეც უკვე გაჩნდა კრიტიკა არასამთავრობო სექტორში. მეორე, სასამართლო სისტემის რეფორმა. აგერ ვხედავთ, როგორ აგრძელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა არჩევას. მიშელის დოკუმენტში სხვა მსხვილი საკითხი მეტი არც არაფერი რჩება, გარდა საარჩევნო და სასამართლო რეფორმისა.

არა მგონია, ნაციონალური მოძრაობა იმაზე წავიდეს, რომ პარტიის ნაწილი პარლამენტში შევიდეს და ნაწილი გარეთ დარჩეს.

– ეს ძალიან მძიმე დარტყმა იქნებოდა პარტიისთვის.

– რა თქმა უნდა! იმედია, ამაზე არ წავლენ.

– ადგილობრივი არჩევნები რამდენად დაუსვამს ამ პოლიტიკურ კრიზისს წერტილს, თუ პირიქით შეიძლება აღმოჩნდეს?

– სიმართლე გითხრათ, ადგილობრივი არჩევნებისთვის რეფერენდუმის მიბმა ჩემთვის იმთავითვე მიუღებელი და გაუგებარი იყო, რადგან ადგილობრივ არჩევნებზე არ არის ხოლმე ამომრჩეველი აქტიური. ეს ნაკლებაქტივობით გამორჩეული არჩევნებია. ოპოზიციას გაუჭირდება საკუთარი ამომრჩევლის მიყვანა საარჩევნო უბნებზე, არათუ ახალი ელექტორატის გაზრდა და მიმხრობა. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ ადგილობრივ არჩევნებს დიდი იმედგაცრუება მოჰყვეს. ეს პარტიული სისტემის კიდევ ერთი კრახი იქნება. ალბათ, ოპოზიციის ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომა იყო ამ არჩევნებზე პლებისციტით გასვლა, რადგან მათ გაუჭირდებათ იმ შედეგის გაუმჯობესება, რომელიც გასულ წელს აჩვენეს საპარლამენტო არჩევნებზე.

ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ოქტომბრის ეს არჩევნები იქცეს ქვეყანაში ახალი პოლიტიკური პროცესის, ახალი პარტიებისა და ახალი ლიდერების გაჩენის ასპარეზად.

ასლან ბჟანია: „აფხაზეთის სტატუსის თემა დახურულია. ამაზე საქართველოსთან საუბარს არ ვაპირებთ“

ოკუპირებულ რეგიონში ოპონენტებმა დე ფაქტო პრეზიდენტის გადადგომის მოწოდებები განაახლეს

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ცდილობს დაადასტუროს თავისი ერთგულება რუსეთისა და აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ იდეის მიმართ. ამის მიუხედავად, ოპონენტები ბჟანია-ანქვაბი-შამბას გუნდს კვლავინდებურად უნდობლობას უცხადებენ და „პროქართულ“ ნაბიჯებს ახსენებენ.

ვეტერანთა ორგანიზაცია „არუაა“ ახალი ძალით აგრძელებს დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიას საწინააღმდეგო კამპანიას. ვეტერანები მას მოუწოდებენ, საკუთარი ნებით გადადგეს. მათი აზრით, უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები.

ოპონენტები დე ფაქტო პრეზიდენტის გადადგომის აუცილებლობის საფუძვლად მრავალ მიზეზსა და საბაბს ასახელებენ, პენსიების შეფერხებით გაცემით დაწყებული, საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობით დამთავრებული.

ყველაზე მეტად ანქვაბი-ბჟანიას მოწინააღმდეგეებს ახლანდელი მმართველი გუნდის ის ნაბიჯები და მცდელობები აფრთხობთ, რომლებსაც ისინი „პროქართულს“ უწოდებენ. ამაზე ვეტერანებმა ამჯერადაც იხმაურეს.

ასეთად მათ მიაჩნიათ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების გადასვლა აფხაზეთში. როგორც ცნობილია, მათ მიერ ჩაბრძანებული ხატი პოლიტიკურმა ჯგუფებმა უკან დააბრუნეს. ვეტერანების შეფასებით, „ხატით აღჭურვილი ქართველი პოლიტიკოსების ფარული ვიზიტი ორგანიზებული იყო ბჟანიას ადმინისტრაციის მიერ“.

ქართველებთან „მრავალდონიან მოლაპარაკებებზე“ ბჟანია უკვე აღარ ლაპარაკობს, ოპონენტები კი ამას მაინც ბრალდებად უყენებენ.

ოპონენტებს არ აკმაყოფილებთ ბჟანიას ყოფილ თანაშემწე ბენურ კვირაიაზე გაკეთებული განმარტებები. კვირაია თებერვალში გადმოვიდა თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და შეხვდა ქართველებს. მანამდე მან დატოვა თანამდებობა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. კვირაიას განმარტებით, მას პირადი ბიზნესგეგმა აქვს და თავისუფალი ეკონომიკურ ზონაში ინვესტიციების მოზიდვას ცდილობს.

ეს ბრალდებებიც რომ არ ყოფილიყო, ოპონენტი ვეტერანები ბჟანიას მაინც უნდობლობას გამოუცხადებდნენ. მათი თქმით, ბჟანია მონაწილეობდა ხელისუფლების შეცვლის არაკონსტიტუციურ სცენარში, რომელიც განვითარდა 2020 წლის იანვარში.

როგორც ცნობილია, ბჟანია „ამცახარას“ კანდიდატი იყო. ოპოზიცია „ამცახარასაც“ უყენებს პრეტენზიებს და იხსენებს, რომ ეს ორგანიზაცია აწყობდა ხაჯიმბას საწინააღმდეგო მიტინგებს, იღებდა შსს-ს შენობას, თავს ესხმოდა სხვა დაწესებულებებს, კეტავდა გზებს.

ვეტერანების თქმით, ხალხი მსგავსი მოვლენებითა და ძალადობით დაიღალა. ამიტომ, ჯობია, ბჟანია ნებაყოფლობით წავიდეს თანამდებობიდან. ის არის 2020 წლის მოვლენების მონაწილე და მას საზოგადოების ნდობა არა აქვს.

თავად ბჟანია რუსეთში ხაჯიმბაზე ხშირად დადის. მოსკოვში ასევე ჩადიან ეკონომიკური პროფილის ჩინოსნები. ისინი ამზადებენ აფხაზეთის ენერგოსისტემის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის პროექტებს, რაც ფაქტობრივად აფხაზეთის ენერგოსისტემის რუსეთის ხელში გადასვლას ნიშნავს.

– აფხაზეთის სტატუსზე არც საქართველოსთან და არც ვინმე სხვასთან მსჯელობას არ ვაპირებთ, – განაცხადა 25 მაისს ინტერვიუში ასლან ბჟანიამ.

მან აღნიშნა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ეს თემა სამუდამოდ დაიხურა.

ბჟანია სინანულს გამოთქვამს, რომ სოხუმსა და თბილისს შორის არ არის ხელმოწერილი შეთანხმება ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

– საქართველო ჩვენ არ გვაღიარებს. ის ვერ ხედავს ისეთ სახელმწიფოს, როგორიც აფხაზეთია. ამის გამო ჩვენ არ გვაქვს არანაირი სახელმწიფოთაშორისი კონტაქტები. არსებობს მხოლოდ მოლაპარაკებათა ჟენევის მოედანი, – ამბობს ბჟანია.

მისი განმარტებით, არაღიარებას აფხაზები რეალობად აღიქვამენ და ამის გამო არ კომპლექსდებიან. მათ უნდათ რომისა და ათენის მონახულება. ამის საშუალებას არ აძლევენ. ვიღაც ფიქრობს, რომ სწორი და სამართლიანია. „ჩვენ ასე არ ვფიქრობთ“, – დასძენს ბჟანია.

მისივე თქმით, აფხაზებს ფანჯარა ევროპასა და მსოფლიოში რუსეთიდან აქვთ გაჭრილი. აფხაზეთს რუსეთთან ერთიანი კულტურული და სულიერი სივრცე აქვს.

არ არის გამორიცხული, რომ „კულტურულად ერთიანმა“ რუსეთმა ბჟანია-ანქვაბი-შამბას გუნდი ვადაზე ადრე გაისტუმროს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთი აფხაზეთში ყველაფერს ვერ აკონტროლებს და ყველაფერს ვერ გეგმავს. ბევრი რამ მოვლენების განვითარებასა და აფხაზეთის საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

„ნამახვანჰესის ხელშეკრულებაში ვიღაცამ დიდი ფული აიღო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თველოში არ რჩება; მესამე მხრივ, ისეთ გარანტიებს იღებს სახელმწიფო თავის თავზე, რომ გამორიცხულია, კორუფციული საფუძვლები არ ჰქონდეს.

– რას გულისხმობთ?

– თუკი რამე არ იმუშავებს, სახელმწიფო 400 მილიონის გადახდას იღებს თავის თავზე. სად აქვს 400 მილიონი? აბა, დაჯდეს ხელისუფლება სადმე, რომელიმე ეთერში (ან საპარლამენტო კომიტეტის ფორმატში) და ამ შეკითხვებს პასუხი გასცეს. რა 400 მილიონ გარანტიას იძლევა? ხალხს სული სძვრება! ისეთი დეპუტატები გვყავს, ფულში იხრჩობიან, ხალხი კი ვალებში იხრჩობა. რა 400 მილიონზე იღებენ პასუხისმგებლობას? ამას რა განხილვა და ექსპერტიზა უნდა.

– პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მზად იყო, აქციის ორგანიზატორებს შეხვედროდა. შეხვედრა არ შედგა. თუ მშენებლობის შეჩერება უნდათ, ხელისუფლებას არ უნდა დაელაპარაკონ?

– პარლამენტის თავმჯდომარის შეთავაზება პოლიტტექნოლოგიური სვლა იყო, რათა ითქვას, აქციის ორგანიზატორები დიალოგზე არ მიდიანო. პოლიტტექნოლოგიებით ვინ სჯობნის, რიონისხეობელი ხალხი თუ ხელისუფლება? პოლიტტექნოლოგიით, მზაკვრობით, რა თქმა უნდა, ხელისუფლება და პოლიტიკური სპექტრი სჯობნის, რომელიც ახლა ხალხის გაშავებითაა დაკავებული. ხელისუფლება და პოლიტიკური სპექტრი ხალხს ყოველთვის აჯობებს, მაგრამ სიმართლე ხალხის მხარესაა, როგორი პოლიტტექნოლოგიებითაც არ უნდა დაუპირისპირდეს ხელისუფლება.

– მზაკვრობა სად ჩანს?

– ისეთ სვლებს აკეთებს, პოლიტტექნოლოგიურად და მზაკვრულად ხელისუფლება უფრო მომზადებული ჩანს. რიონის ხეობის მცველებმა პოლიტტექნოლოგიები რატომ უნდა იცოდნენ? რატომ გვაქვს მოთხოვნის ის სტანდარტი, რომ პოლიტტექნოლოგიურად ამ ხალხმა ხელისუფლებას აჯობოს?

არ იქნება ცუდი, თუ ელემენტარულ პიარტექნოლოგიებზე რაღაც კონსულტაციებს გაივლიან იმ ადამიანებთან, რომლებსაც ესმით პიარტექნოლოგიების და მათ გულშემატკივრობენ. ხელისუფლება როგორ იქცევა, ვხედავ. პოზიციაოპოზიცია წლების განმავლობაში ხალხს არ-თობს, შევა თუ არა პარლამენტში. ერთი კვირა ილაპარაკეს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს პრეზიდენტი ვეტოს დაადებდა თუ არა. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ, ხალხისა და სახელმწიფოს გატყავების პარალელურად, ხალხი გაართონ.

– ის მასა, რომელიც აპროტესტებს (ცოტა არ არის), შეძლებს ჰესის მშენებლობის გაჩერებას?

– აქციაზე დიდი მასა არ გამოვიდა. მე ხალხი ძალიან მეცოტავა. დიდი სურვილი მქონდა, მეტი თბილისელი მოსულიყო. ასეთი პროცესის დროს არ შეიძლება, აქცენტი რაიონებიდან ჩამოსულ ადამიანებზე გააკეთო. თბილისში ყოველთვის მეტი ხალხი ცხოვრობს, მილიონნახევრიანი ქალაქია. მეორეც – რეგიონებიდან ადამიანების ჩამოყვანა ხარჯებთანაა დაკავშირებული.

აქ ჩანს, რომ ორგანიზატორები არავისგან ფინანსდებიან, არავისგან იმართებიან. მათ ელემენტარულ შეცდომებში ჩანს, რომ ეს, უბრალოდ, ხალხის პროტესტია, რადგან ხალხი ხედავს, სამშობლოს უყიდიან და საზოგადოების ღირსებას შეურაცხყოფენ. 5 თუ 10 ათასი კაცით ხელისუფლებაზე ზეგავლენას ვერ მოახდენ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, პირველივე დღეს 50 ათასი კაცი უნდა მდგარიყო, რაც სავსებით შესაძლებელი იყო სწორად დაგეგმილი პოლიტტექნოლოგიებით, სწორი ლოჯისტიკით, მაგრამ ახლა ჩვენ რიონის ხეობის მოსახლეობას ამაში ბრალი რომ დავდოთ, რატომ არ იცითო, არ იქნება სწორი. რატომ უნდა იცოდნენ? ეს უნდა იცოდნენ პოლიტიკოსებმა და ამ ცოდნას ხალხს უნდა ახმარდნენ. პოლიტტექნოლოგიების ცოდნით ისინი, პირიქით, ხალხს ებრძვიან.

– თუ სახელმწიფოს უნდა, ეს ხელშეკრულება რამენაირად რეკონსტრუირებულ იქნეს, უნდა აწყობდეს ხალხის პროტესტი. წინააღმდეგ შემთხვევაში რა უნდა უთხრას მეორე მხარეს, რატომ ცვლის ხელშეკრულებას?

– დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ ხელშეკრულებაში ვიღაცას დიდი ფული აქვს აღებული. ამიტომ ახლა ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ხელშეკრულება არსებული ფორმით შენარჩუნდეს. ვიღაცამ ფული აიღო, რომ ასეთი ხელშეკრულება მომზადებულიყო.

– თუ ვინმემ ფული აიღო, დააბრუნებინონ, რა ჩვენი გადასახადია.

– ეგ რომ ეიძულებინა, პირველივე დღეს მინიმუმ 50 ათასი კაცი უნდა გამოსულიყო. პირველ დღეს 50 ათასი კაცი არ იყო, 7-8 ათასი კაცი მივიდა. მეტის მოლოდინი მქონდა, მაგრამ ეს ლოჯისტიკის ბრალია.

– ეგ პოლიტიკოსებს ხელეწიფებათ. პოლიტიკოსები კი იქ არ არიან, არ მიუშვეს.

– ძალიან კარგია, რომ არ მიუშვეს, ახლოსაც არ უნდა გაიკარონ, იმიტომ, რომ პოლიტიკური სპექტრის დიდმა ნაწილმა თავი შეირცხვინა და სახელმწიფოს მომავალი მოჰპარა.

– ამ სიტუაციაში ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?

– ხელისუფლებამ აღნიშნული პროექტის განხორციელება უნდა შეაჩეროს. პროკურატურამ უნდა დაიწყოს დაშვებული ხარვეზების შესწავლა, რომელთაგან ბევრი კანონთან, კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაშია. პარალელურად უნდა უნდა დავსხდეთ და ამაზე დიალოგი დავიწყოთ. ექსპერტებსაც დიდი სიამოვნებით მოვუსმენდით მას შემდეგ, რაც ხალხი შედეგს დაინახავდა. თუ პროექტი არ შეჩერდა, შემდეგ ხარჯები ჩვენი ასანაზღაურებელი გახდება.

– ხელისუფლებამ გარკვეული ქმედებები განახორციელა. საკმარისი არ არის?

– ეს იყო მხოლოდ ცბიერი, მზაკვრული პოლიტტექნოლოგიები, თითქოს მშენებლობა შეაჩერა. სიმულაციებით უნდათ, შთაბეჭდილება შექმნან, თითქოს მშენებლობა გაჩერდა. ასე არ არის.

იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებად თემურ გოგოხია, ლევან მიქაბერიძე, ბადრი შონია და გოჩა აბუსერიძე აირჩიეს

გუშინ, 26 მაისს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოთხ მოსამართლე წევრად თემურ გოგოხია, ლევან მიქაბერიძე, ბადრი შონია და გოჩა აბუსერიძე აირჩიეს. მათ კანდიდატურებს მოსამართლეთა რიგგარეშე კონფერენციაზე მხარი მოსამართლეთა კორპუსის უმრავლესობამ დაუჭირა.

ხმათა რაოდენობა ასე გადანაწილდა: გოჩა აბუსერიძე – 274 ხმა, ლევან მიქაბერიძე – 283 ხმა, ბადრი შონია – 281 ხმა, თემურ გოგოხია – 278 ხმა.

ოთხივე მათგანი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩიეს.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა კორპუსი 326 მოსამართლისგან შედგება, რომელთაგან გუშინდელ კონფერენციაზე რეგისტრაცია 284-მა მოსამართლემ გაიარა.

მოსამართლეთა რიგგარეშე კონფერენციამ საპროტესტო აქციის ფონზე ჩაიარა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოში ოთხი ახალი მოსამართლე წევრის არჩევის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც მოსამართლე წევრებს: ირაკლი შენგელიას, ირაკლი ბონდარენკოს, ვასილ მშვენიერაძეს და დიმიტრი გვრიტიშვილს საბჭოში მუშაობის ვადა ამოეწურათ.

– 281-მა მოსამართლემ მომანიჭა მანდატი, კლანზე, მგონი, ცოტა უხერხულია საუბარი.

ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეულმა მოსამართლე წევრმა, ბადრი შონიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

როგორც შონია აღნიშნავს, ის ყველაფერს გააკეთებს, რათა ქვეყანაში უკეთესი მართლმსაჯულება გვქონდეს.

– ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, ვიყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. როგორც იცით, 281-მა მოსამართლე წევრმა მომცა ხმა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ უკეთესი მართლმსაჯულება გვქონდეს ქვეყანაში, ყველა დაინტერესებულ პირთან თანამშრომლობისთვის მზად ვარ. სხდომა იყო ღია, ერთ-ერთმა მოსამართლემ დამასახელა და ხმა მომცა 281-მა მოსამართლემ, – აღნიშნავს ბადრი შონია.

კითხვაზე, არის თუ არა ის კლანის მხარდაჭერილი წევრი, ბადრი შონია აცხადებს: – მგონი, დღეს ურიგოა კლანზე საუბარი, როგორც გითხარით, 281-მა მოსამართლემ მომანიჭა მანდატი, კლანზე, მგონი, ცოტა უხერხულია საუბარი.

კითხვაზე, იყო თუ არა მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, შონია უარყოფს და აცხადებს, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არასდროს ყოფილა აღძრული.

კომენტარი გოჩა აბუსერიძემაც გააკეთა.

– მოლოდინის რეჟიმშიც არ ვყოფილვარ, რომ დღეს წარდგენილი ვყოფილიყავი საბჭოს წევრის კანდიდატურად – საუბრები, რომ კლანი არსებობს, ჩემი აზრით, დემაგოგიაა, მიმართულია სასამართლოს დისკრედიტაციისკენ, – განაცხადა მან.

კითხვაზე, როგორ შეაფასებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის, ნაზი ჯანეზაშვილი განცხადებას, სადაც ის აღნიშნავს, რომ წარდგენილი კანდიდატები ის პირები არიან, რომლებიც მოსამართლეთა გავლენიანი ლობირებით სარგებლობენ, აბუსერიძე პასუხობს, რომ აღნიშნული შეკითხვა თავისი შინაარსობრივი დატვირთვით სასამართლოს დისკრედიტაციისკენ არის მიმართული.

– მე ასევე ვმონაწილეობდი უზენაესი სასამართლოს წევრის კონკურსში და ქალბატონმა ნაზიმ არაერთხელ დამისვა ეს შეკითხვა.

მე, რა თქმა უნდა, მას ვუპასუხე არგუმენტირებულად, თუმცა ამგვარი შეკითხვა ჩემთვის პირადად, როგორც მოსამართლისათვის, არის შეურაცხმყოფელი იმიტომ, რომ აღნიშნული შეკითხვა თავისი შინაარსობრივი დატვირთვით, ჩემი აზრით, მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს დისკრედიტაციისკენ. არანაირი ზეწოლა და წინასწარი შეთანხმება დღეს, რა თქმა უნდა, არ ყოფილა. ჩემთვისაც მოლოდინის რეჟიმშიც არ ვყოფილვარ, რომ დღეს წარდგენილი ვყოფილიყავი საბჭოს წევრის კანდიდატურად. ერთ-ერთმა ჩემმა კოლეგამ წარმადგინა, – აღნიშნავს გოჩა აბუსერიძე.

როგორც გოჩა აბუსერიძე აღნიშნავს, საუბრები, რომ სასამართლოში კლანი არსებობს, დემაგოგიაა და სასამართლოს დისკრედიტაციისკენ არის მიმართული.

– საუბრები, რომ კლანი არსებობს, ჩემი აზრით, დემაგოგიაა, მიმართულია სასამართლოს დისკრედიტაციისკენ. შეგიძლიათ ჩემი პროფესიული მოღვაწეობა, წარსული, კავშირები გამოიკვლიოთ. სასამართლო სისტემაში არსებობს სასამართლოს კორპორაცია, სასამართლოს მოსამართლეები მართავს, – აღნიშნავს გოჩა აბუსერიძე.

ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ფორმირებასთან დაკავშირებით ცვლილებები იგეგმება

ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ფორმირებასთან დაკავშირებით ცვლილებები იგეგმება.

ამ მიმართულებით პარლამენტს უკვე წარედგინა „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი, რომელიც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა მოამზადა.

კანონპროექტის თანახმად, პირს უფლება ექნება, უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ სასამართლოს წარუდგენს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ ინფორმაციათა ერთობლიობას, რომლითაც დადასტურდება, რომ ისეთ სამუშაოს ასრულებს, რომელშიც მისი კონკრეტულ პერიოდში და ვითარებაში შეცვლა შეუძლებელია ან გამოუსწორებელ ზიანს გამოიწვევს.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხილავს, სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე სავალდებულო წესით სათადარიგო მოსამართლე დაინიშნება, რომელიც ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მას ჩაანაცვლებს და შერჩევის პროცესი გაგრძელდება.

კანონპროექტით ასევე იზრდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის მეორე სხდომაზე გამოსაძახებელი ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების რაოდენობა, კერძოდ, პროექტით განისაზღვრება, რომ თუ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პირველ სხდომაზე ვერ შეირჩა ყველა ნაფიცი მსაჯული, მოსამართლე გადადებს სხდომას არაუმეტეს 10 დღით და არაუმეტეს 100 კანდიდატის ნაცვლად, დამატებით მოიწვევს არაუმეტეს 300 კანდიდატს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის დადგენილ რაოდენობამდე შესავსებად.

პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 223-ე მუხლიდან მე-11 ნაწილის ამოღებასაც ითვალისწინებს, რაც გულისხმობს იმას, რომ როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარეს უფლება ექნება, 6 დაუსაბუთებელი აცილება განაცხადოს, ხოლო თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, მხარეს 10 დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლება ექნება.

ნაფიცი მსაჯულისა და ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობა ჩაითვლება არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობად.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატისთვის დასაკისრებელი ჯარიმის მინიმალური ოდენობა, შერჩევის სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, 500-დან 1.000 ლარამდე იზრდება.

„ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, გამოწვევად რჩება სისხლის სამართლის საქმის განმხილველი ნაფიც მსაჯულთა კორპუსის დროულად ფორმირება, რაც ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების მიერ შერჩევის სხდომაზე გამოუცხადებლობით და ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების თავიდან აცილებით არის გამოწვეული. ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ფორმირების გაჭიანურებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით“ დაცულ ბრალდებულის უფლებაზე, რომელიც მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებას გულისხმობს“, – აღნიშნულია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

აჭარაში 7 უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აჭარაში 7 უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს.

ამის შესახებ ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.

შვიდივე ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნება.

აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ, არარეგისტრირებული სახერხი საამქროები ამოღებულია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: ელელიძეები, ტაბახმელა, შუასოფელი და ვანაძეები, ასევე შუახევის მუნიციპალტეტის სოფლებში ინწკირვეთსა და ჟანივრში.

მოქალაქეებს ლენტური ტიპის სახერხი დანადგარები საკარმიდამო ეზოებში და საგანგებოდ მოწყობილ შენობებში ჰქონდათ განთავსებული.

ბათუმის მე-10 სკოლის მე-2 სართულიდან მოსწავლე გადახტა

ბათუმის მე-10 საჯარო სკოლის მე-2 სართულიდან მოსწავლე გადმოხტა.

ამის შესახებ ტვ 25-ს წყარომ აცნობა.

დაშავებული ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს. მას ორივე ხელი აქვს მოტეხილი.

– ბავშვები შატალოზე აპირებდნენ წასვლას, სკოლის კარი იყო ჩაკეტილი, რის გამოც ერთ-ერთი მოზარდი ფანჯრიდან გადახტა, – ყვება ინფორმირებული წყარო.

მსგავს ფაქტს კატეგორიულად უარყოფს სკოლის დირექტორი, თუმცა დაწესებულებაში მომხდარ ინციდენტს დავით ეცადეიშვილი ადასტურებს. მისი მტკიცებით, მოზარდი ეზოში წაიქცა, რის შედეგადაც ხელი მოიტეხა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში მოზარდის დაშავების შესახებ შეტყობინება არ შესულა.

„იაშვილის სახელობის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრში“ აცხადებენ, რომ მოზარდი, რომელსაც ორივე კიდური ჰქონდა მოტეხილი, უკვე ბინაზე გაეწერა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

შიდა ქართლში 35 წლის მამაკაცი 14 წლის ბიჭზე სექსუალურად ძალადობდა

შიდა ქართლში სექსუალური ძალადობის ბრალდებით 35 წლის მამაკაცი დაკავეს.

ირკვევა, რომ მსხვერპლი 14 წლის ბიჭია. 35 წლის მამაკაცი 3 წლის განმავლობაში ძალადობდა მოზარდზე.

მსხვერპლმა ძალადობის შესახებ პოლიციას თავად აცნობა.

მოზარდი ბიჭის ოჯახი ფაქტზე საუბრისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს.

თბილისში უცხოელი ტურისტი ცემეს

გუშინ, 26 მაისს, თბილისში უცხოელ ტურისტს თავს დაესხნენ. შემთხვევა ძველ თბილისში, „მაჭახელასთან“ მოხდა.

მას ერთ-ერთი რესტორნის დაცვის სამსახურის თანამშრომელი ფიზიკურად გაუსწორდა. დაშავებული ტურისტი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თავდასხმის მოტივი უცნობია. პოლიციამ გამოკითხვაზე 2 პირი გადაიყვანა.

გურჯაანში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. შემთხვევა სოფელ ჩუმლაყში 25 მაისს, გვიან ღამით მოხდა.

მომხდარს წინ სიტყვიერი დაპირისპირება უძღოდა, რის შემდეგაც 40 წლამდე კაცს ცივი იარაღით მიაყენეს ჭრილობები.

დაჭრილი გურჯაანში, „ჯეოჰოსპიტალსის“ საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმების ინფორმაციით, მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.184 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.184 ფაქტი გამოავლინა.

პოლიციამ 41 პირი დააჯარიმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.184 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 41 პირი დააჯარიმა. დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 23 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 965 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 178 ფაქტი გამოვლინდა“, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

„პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

საერთაშორისო

სომხურმა მხარემ აზერბაიჯანის არმიის პოზიციებს ცეცხლი გაუხსნა

ქალბაჯარისა და გადაბეის რაიონებში განლაგებული აზერბაიჯანის არმიის პოზიციების მიმართულებით სომხეთის გეღარქუნიქის პროვინციაში განლაგებული მტრის პოზიციებიდან რამდენიმეჯერ ცეცხლი გახსნეს. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ქვეყნის თავდაცვის უწყებაში აცხადებენ.

მათი მტკიცებით, 24-26 მაისს სომხური მხარე ცეცხლს პერიოდულად ხსნიდა, თუმცა არავინ დაშავებულა და არც დაღუპულა.

აზერბაიჯანის თავდაცვის უწყებაში აცხადებენ, რომ მათ ჯარისკაცებს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნიათ.

ერაყში აქციაზე შეტაკებას 2 ადამიანი ემსხვერპლა

ერაყში საპროტესტო აქციის დროს პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, 28 კი დაშავდა.

დემონსტრანტები მაშინ დაშავდნენ, როდესაც სამართალდამცავებმა მათ დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

აქციის მონაწილეებმა საპასუხოდ პოლიციას სხვადასხვა საგანი დაუშინეს, რის შედეგადაც 5 სამართალდამცავი დაშავდა.

ათასობით დემონსტრანტი ერაყის დედაქალაქის მთავარ მოედნებზე, მათ შორის ტაჰრირის მოედანზე შეიკრიბა, პროდემოკრატ აქტივისტებსა და ჟურნალისტებზე განხორციელებული თავდასხმები დაგმო და სამართლიანობის აღდგენა მოითხოვა.

კორონავირუსის ინდური ვარიანტი 53 ტერიტორიაზეა დაფიქსირებული

კორონავირუსის ვარიანტი, რომელიც პირველად ინდოეთში აღმოაჩინეს, ოფიციალურად 53 ტერიტორიაზეა დაფიქსირებული, – ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ყოველკვირეულ ანგარიშშია აღნიშნული.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მსოფლიოში გასული კვირის განმავლობაში ახალი შემთხვევებისა და სიკვდილიანობის რიცხვი კვლავ შემცირდა. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში დაინფიცირების დაახლოებით 4.1 მილიონი ახალი შემთხვევა დაფიქსირდა და 84.000 ადამიანი გარდაიცვალა, რაც, წინა კვირასთან შედარებით, 14% და 2%-ით ნაკლებია. ახალი შემთხვევები და სიკვდილიანობის მაჩვენებელი გასული კვირის განმავლობაში ყველაზე მეტად ევროპის რეგიონში შემცირდა. მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონშიც.

ბოლო 7 დღის განმავლობაში დაინფიცირების ახალი შემთხვევებიდან ყველაზე მეტი – 1.846.055 შემთხვევა ინდოეთში დაფიქსირდა, რაც 23%-ით ნაკლებია ქვეყანაში წინა კვირაში გამოვლენილ შემთხვევებთან შედარებით, შემდეგ მოდის ბრაზილია 451.424 შემთხვევით, რაც წინა კვირაში გამოვლენილ შემთხვევებზე 3%-ით მეტია, მესამე ადგილზეა არგენტინა 213.046 ახალი შემთხვევით, მეოთხე და მეხუთე ადგილებზე კი შეერთებული შტატები (188.410 ახალი შემთხვევა) და კოლუმბია (107.590 ახალი შემთხვევა) არიან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

განძის მაძიებელმა ძველ საგანძურს მიაგნო და პატრონს დაუბრუნა

ინგლისის ვუსტერშირის საგრაფოს დასახლება დოდენჰემში განძის მაძიებელმა იატაკში ჩამარხული უძველესი საგანძური იპოვა და ის მის მფლობელს დაუბრუნა.

ჩარლზ კარტრაიტი თავისი ლითონმაძიებელი ხელსაწყოთი პირველად წავიდა განძის საძიებლად და ძველი რომის და ვიკინგების, შუა საუკუნეების, ბრინჯაოს ხანის და ძველი ეგვიპტის დროინდელი იატაკში ჩამარხული განძი იპოვნა, რომელიც მინიმუმ 5,5 ათას ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული.

მამაკაცმა ნაპოვნის თაობაზე მიწის მფლობელს და კორონერის ოფისს აცნობა. გამოძიებამ აჩვენა, რომ 2017 წლის მარტში საგანძური სახლიდან შროპშირის საგრაფოს ქალაქ ლადლოუში იქნა გატანილი.

ნაპოვნი საგანძური მიწის მფლობელს დაუბრუნდა. პოლიციამ დაიწყო იმის გარკვევა, თუ როგორ აღმოჩნდა განძი მინდორში.

განძის მეპატრონე უზომოდ გახარებული დარჩა მის უკან დაბრუნებით. მისი აღიარებით, მას მათი ისევ ნახვის იმედი დაკარგული ჰქონდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტესლას მძღოლს მანქანის ავტოპილოტით მართვა დაპატიმრებად დაუჯდა



ამერიკის კალიფორნიის შტატში ელექტროკარ ტესლა მოდელ 3-ის მძღოლმა მანქანის მართვა მთლიანად ავტოპილოტს მიანდო, თვითონ კი უკანა სავარძელზე მოკალათდა, ამის შედეგად კი მან თავი გისოსებს მიღმა ამოჰყო.

პოლიციამ 25 წლის პარამ შარმუ ორშაბათ საღამოს დააპატიმრა ქალაქ ოკლენდში ფასიან გზაზე მისასვლელთან. მამაკაცი მანქანის უკანა სავარძელზე იყო მოკალათებული, ხოლო ელექტრო კარს ავტოპილოტი მართავდა. აღსანიშნავია, რომ ამ სისტემის უსაფრთხოებაზე არაერთ მძღოლს გამოუთქვამს პრეტენზიები. ამიტომ კალიფორნიის საგზაო პატრული გაფრთხილებული იყო საეჭვო ავტომობილის თაობაზე.

წინასწარი მონაცემებით, როდესაც პოლიციელებმა შარმუ გააჩერეს, ის მძღოლის სავარძელზე გადაჯდა. მას ორი მუხლით წაუყენეს ბრალდება: სახიფათო მოძრაობა და პოლიციის თანამშრომლის მიმართ დაუმორჩილებლობა. კანონდამრღვევმა სასჯელის სახით ღამე ციხის საკანში გაატარა.

მამაკაცის თქმით, მას სურდა საკუთარი ქმედებით დაემტკიცებინა, რომ თვითმართვადი ავტომობილი არა ფუტურისტული ფანტაზიაა, არამედ მისით უსაფრთხოდ სარგებლობა უკვე შესაძლებელია.

აღსანიშნავია, რომ კალიფორნიის კანონმდებლობით მოქალაქეებს ეკრძალებათ თვითმართვადი ავტომობილით გადაადგილება, თუ საჭესთან მძღოლი არ იმყოფება.

ოჯახი სახურავზე ამძვრალმა უზარმაზარმა გველმა შეაშინა

უზარმაზარი გველი აძვრა სახლის სახურავზე და ავსტრალიელ ოჯახს ტელევიზორის ყურებაში შეუშალა ხელი.

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ბრისბენის გარეუბნის მცხოვრები ოჯახის წევრებთან ერთად ტელევიზორს უყურებდა, როდესაც ჭერიდან უცნაური ხმები შემოესმა. ის გავიდა იმის სანახავად თუ რა ხდებოდა და აღმოაჩინა, რომ მისი სახლის სამზარეულოს სახურავზე უზარმაზარი გველი დაცოცავდა. ავსტრალიელმა დაუყოვნებლივ ცხოველებზე მონადირე სამსახურში დარეკა.

გამოძახებაზე მისულ გველებზე მონადირე სტივ ბრაუნს საათნახევარი დასჭირდა გველის გამოსატყუებლად და მის დასაჭერად. ოჯახის მყუდროების დამრღვევი სამმეტრიანი რომბისებური პითონი აღმოჩნდა.

– მართალია ისინი შხამიანები არ არიან, ასეთი ზომის ქვეწარმავლის კბენამ ადამიანს შეუძლია სერიოზული დაზიანებები მიაყენოს, ვინაიდან მას ყბებზე ასზე მეტი კბილი აქვს, – განმარტა ბრაუნმა.

დაჭერის შემდეგ ქვეწარმავალი სახლიდან და გზებიდან შორს წაიყვანეს და ბუნებაში გაუშვეს.

კატამ კოიოტი ავტოსადგომიდან პოლიციელების თვალწინ გააგდო

კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ქალაქ პორტ-მუდიში კატამ კოიოტი ავტოსადგომიდან პოლიციელების თვალწინ გააგდო. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლი 16 მაისს კვირა ღამით იქნა გადაღებული. ვიდეოჩანაწერში, რომელიც პოლიციამ ტვიტერში გამოაქვეყნა, გაჩერებული ავტომობილის გვერდით ჩანს შავი ფერის კატა და კოიოტი. გარეული ცხოველი შეეცადა კატას მიპარვოდა, მაგრამ შინაურმა ცხოველმა ის შენიშნა და თავად შეუტია. გარკვეული დროის განმავლობაში ცხოველები ერთმანეთს ავტომობილის გარშემო დასდევდნენ, შემდეგ კი კოიოტი გაიქცა, ხოლო კატა მას გამოეკიდა.

– ერთი კატის სასარგებლოდ, ნოლი კოიოტს, – დაწერეს პოლიციელებმა ტვიტერში გამოქვეყნებული ვიდეორგოლის კომენტარში.

სამართალდამცავების თქმით, ისინი ცხოველებს უკან მიჰყვებოდნენ, სანამ კოიოტმა ტერიტორია არ დატოვა. მეორე დღეს პოლიციელებმა კატა ისევ დაინახეს იმავე ადგილზე, რომელიც მათსავით პატრულირებდა ტერიტორიაზე.

გალიიდან თავდაღწეულმა ძუ ვეფხვმა ზოოპარკის თანამშრომელი მოკლა

ინდოეთის არუნაჩალ-პრადეშის შტატის ქალაქ იტანაგარში ბენგალურმა ძუ ვეფხვმა, სახელად ჩიპიმ, გალიას თავი დააღწია და ზოოპარკის თანამშრომელი მოკლა.

მტაცებელი ცხოველი 35 წლის პულაშ კარმაკარს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის ვეფხვის გალიის მახლობლად მდებარე გუბურას ასუფთავებდა. ზოოპარკის ზედამხედველი რაია ფლაგო ექიმთან და დაწესებულების სხვა თანამშრომლებთან ერთად შეეცადა მამაკაცისთვის ეშველათ, მაგრამ სანამ მათ თავდასხმის ადგილამდე მიაღწიეს, კარმაკარი უკვე მკვდარი იყო.

ფლაგო ამტკიცებს, რომ სამი კარი, რომელიც ვეფხვის გალიას იმ ზონიდან გამოყოფდა, სადაც მამაკაცი მუშაობდა, ღიად იყო დატოვებული. მისი აზრით, კარმაკარის დაღუპვის მიზეზი ზოოპარკის თანამშრომლების დაუდევრობა გახდა, რომლებსაც კარების დაკეტვა დაავიწყდათ.

კარმაკარის ცხედარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე გადააგზავნეს. პოლიცია თვლის, რომ მის სიკვდილში საეჭვო გარემოებები არ იკვეთება. საქმის გამოძიება გრძელდება.

შვიდმეტრიანი პითონის კაციჭამიობაში დასარწმუნებლად ქვეწარმავალს მუცელი გაუფატრეს

ინდონეზიის პროვინცია სამხრეთ სულავესიში დაიჭირეს და მოკლეს შვიდმეტრიანი პითონი, რომლის კაციჭამიობას ეჭვობდნენ.

ადგილობრივმა მცხოვრებმა, სახელად აგუსმა განაცხადა, რომ ქვეწარმავალი მისმა უმცროსმა ძმამ შენიშნა, როდესაც ისინი ტყეში ხის წვენის შესაგროვებლად იმყოფებოდნენ. გველის გამობერილი მუცლის თანახმად, მას რაღაც დიდი არსება ჰყავდა გადაყლაპული.

– ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მას ვიღაცის ბავშვი ჰყავდა გადაყლაპული, – ამტკიცებს ინდონეზიელი.

აგუსმა და სოფლის სხვა მაცხოვრებლებმა პითონი თოკებით შეკრეს და მისი თავშესაფრიდან გამოათრიეს. ამის შემდეგ მას მუცელი გაუფატრეს და შიგნით ძროხის ნაწილები აღმოაჩინეს.

– ბევრმა ადგილობრივმა დაკარგა საქონელი, – განმარტა აგუსის ძმა ვავანმა, – და ჩვენ თავიდანვე ვეჭვობდით, რომ მათ გველები ჭამდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

დინამო ბრინჯაოს პრიზიორია

კაკტუსი-დინამო 85:95
(20:25, 20:26, 18:25, 27:19)

საკალათბურთო სუპერლიგის ბრინჯაოს მედალოსანი თბილისის დინამო გახდა. მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილმა გუნდმა, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში მე-7 ადგილი დაიკავა, ფლეი ოფში წარმატებულად იასპარეზა და საბოლოოდ საპრიზო სამეულში მოხვდა. დინამოელებმა მე-3 ადგილისთვის მატჩში არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი კაკტუსი 95:85 დაამარცხეს.

კაკტუსს ერთ-ერთი ლიდერი – ეი ჯეი სამბრი აკლდა და ჟღენტის გუნდი ერთადერთი ლეგიონერის ამარა თამაშობდა. სამაი ჰაინს-ჯონსი საკმაოდ კარგი კალათბურთელია, მაგრამ სამბრის არყოფნით კაკტუსელებს ფარქვეშ ძალიან გაუჭირდათ. ამას ისიც დაერთო, რომ დინამოელთა ლიდერი ლუკა ბულაშვილი საკმაოდ შედეგიანად ათამაშდა და შეხვედრა დაძაბული აღარ გამოდგა. დინამომ პირველი პერიოდი 5 ქულით მოიგო, მეორეში 6 მიუმატა, ხოლო მესამე ათწუთიულში მეტოქეს 25:18 აჯობა.

დინამოელთა უპირატესობამ მეოთხე პერიოდში 21 ქულას მიაღწია, რის შემდეგაც მატჩის ბედი გაირკვა და შეხვედრის ბოლო წუთები ფორმალობად იქცა.

დინამოს 28 ქულით ლუკა ბულაშვილმა ულიდერა. 22 ქულა და 9 მოხსნა ნიკოლოზ დარბაიძის ანგარიშზეა. მაიკლ ედვარდსმა შეხვედრა 17 ქულით, 14 მოხსნითა და 4 პასით დაასრულა. კაკტუსში 25 ქულით, 6 მოხსნითა და 6 პასით სანდრო სანაძე გამოირჩა. 21 ქულა და 6 მოხსნა – ლევან მასხულიამ, ხოლო 17 ქულა სამაი ჰაინს-ჯონსმა მიითვალა.

თამაშის დასრულების შემდეგ დინამოს მოთამაშეებსა და გუნდის წარმომადგენლებს ბრინჯაოს მედლები და შესაბამისი დიპლომი გადაეცათ. პრიზიორები საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა დააჯილდოვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

ნატო დუმბაძე: „რა გახდა სამი მილიონი კაცის მიხედვა, რა?“

პროდიუსერი ნატო დუმბაძე ამ კითხვას მთავრობას უსვამს და მათგან პასუხს ელოდება:

– მინდა, რომ გაიგონ! მე ვარ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, არ უარვყოფ და ჯერჯერობით ვრჩები, თუმცა, მინდა, ისმინოთ!

ძალიან მომწონს ახალგაზრდა, გაპიწკინებული, კარგ კოსტიუმებში, კარგი სუნამოთი, კარგი გარეგნობით, კარგი ოჯახებით, კარგი შემოსავლით, კარგი საცხოვრებლით, ბინებითა და აგარაკებით, ხელფასებით უზრუნველყოფილი პოლიტიკოსები! ეს ქვეყნის სახეა და ნამდვილად მივესალმები! მაგრამ არის ერთი, არა, ბევრი მაგრამ! ერთადერთი, დღეს თვალნათლივ რაც ჩანს, ეს არის გალამაზებული და მოვლილი თბილისი! ეს რომ არ დააფასო, უნდა გერქვას დაუნახავი! ესეც მხოლოდ კახის თავდაუზოგავი შრომის დამსახურებაა! თუმცა, ლამაზი ქალაქი დათრგუნული, დაღონებული, შეშინებული ადამიანებით რომ აივსო, ვერ ხედავთ?

დანარჩენი? დანარჩენი რა ხდება? რამე სასიკეთოს აკეთებთ ამ გაგანია პანდემიის დროს? იმის მაგივრად, ახლა რაც ხდება, ყური დაუგდოთ, შეხვდეთ, ერთად განიხილოთ, არა? მაგრამ არა! ისევ არ უსმენთ არავის! ეს ნორმალურია? ნუთუ არ შეიძლება, შეხვდეთ და დაუმტკიცოთ მთელ საქართველოს თქვენი სიმართლე, დაუყვავოთ და დაამშვიდოთ ერი და მხოლოდ შავი პიარით არ აკავებდეთ ხალხს, რისი წაკითხვაც კი სირცხვილია!

არ შეიძლება?

გავიგეთ კოპწიაობა, გავიგეთ რაღაცნაირი თავდაჯერებული „პახოდკით“ სიარული! სარკაზმით, ცინიზმით საუბარი, გავიგეთ, რომ რაღაცაზე მუშაობთ და ქვეყნის სამსახურში ხართ, მაგრამ დაგვანახეთ და განაგრძეთ ეგრე სიარული!

ნუ დაშორდით ხალხს, ეს კამერებთან ჰოლივუდის „ულიბკაც“ მოგვბეზრდა და მოკლე ტექსტური შეტყობინებაც! გეყოთ, ბატონებო, გეყოთ! დავიღალეთ! იცით, რა არის დაღლა?

უ ასოზე დაგვიტოვეთ ყველა და ყველაფერი, უმუშევრობით დაწყებული, უსახსრობით დამთავრებული!

ემიგრანტებმა რომ შეწყვიტონ ფულის გამოგზავნა, საქართველო აღარ იარსებებს, არა! ისინი არჩენენ საქართველოს! ზუსტად ემიგრანტებით გადიხართ დღეს ფონს!

რა გახდა სამი მილიონი კაცის მიხედვა, რა? შვეიცარია თუ არა, მიახლოებული მაინც უნდა იყოს ეს პატარა ოაზისი!

გონს უნდა მოეგოთ! მე, როგორც ერთმა რიგითმა მხარდამჭერმა, მინდა გითხრათ, რომ ახლა არ არის წაყრუების დრო, ახლა არ არის არეულობის დრო, შეხვდით და ღია ეთერით ესაუბრეთ თქვენივე ამომრჩეველს და იმ ხალხს, რომელიც ახლა ქუჩაში დგას!

ეს არ ეხება, ამწუთას რა უნდა აშენდეს და რა – არა, არ ვარ ამდენად კომპეტენტური, თუმცა, ამდენი ხალხი რომ აპროტესტებს, ესე იგი პრობლემა არის მანდაც! ეს ეხება საერთო მდგომარეობას ქვეყანაში, ესეც მინდა იცოდეთ!

„მოყვარეს პირში უზრახე, მტერს პირს უკანაო“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

პატრონისგან გამოქცეული ვეფხვი მთელი კვირა ქალაქში დასეირნობდა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში ვეფხვი სახელად ინდოეთი, პატრონს გამოექცა და მთელი კვირა ქალაქის ქუჩებში დაბოდიალობდა.

აღსანიშნავია, რომ ცხოველი ჯერ კიდევ გასულ კვირას შენიშნეს. მოქალაქეებმა ვიდეოზე გადაიღეს, თუ როგორ დასეირნობდა ის ბაღებსა და ქუჩებში. მაშინ ცხოველი პოლიციელმა შენიშნა და მას პისტოლეტი დაუმიზნა. მამაკაცი, რომელმაც ეს შენიშნა, ვეფხვთან მივიდა, აკოცა, მანქანაში ჩაისვა და პოლიციელის მოთხოვნის მიუხედავად, შეჩერებულიყო, წავიდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ის ვეფხვის მფლობელი ვიქტორ კუევასი იყო, რომელიც 2017 წელს მკვლელობისთვის იყო გასამართლებული და გირაოთი იყო განთავისუფლებული. ის მტაცებელი ცხოველის პატრონობას უარყოფდა, ამტკიცებდა, რომ უბრალოდ ვეფხვებს რამდენიმე თვის განმავლობაში უვლიდა. მამაკაცი უკანონოდ ინახავდა თავისთან იშვიათი სახეობის ცხოველს. ქალაქის კანონმდებლობით, ასეთი ცხოველის საკუთარ სახლში შენახვა აკრძალულია. ამ დროისთვის მამაკაცი საპატიმროში იმყოფება.

მტაცებელი ცხოველი კი სპეციალურ რანჩოში გადაიყვანეს, სადაც მას თავისუფლად სეირნობა შეეძლება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ამერიკული მედია ბითაძის ტრეიდს ითხოვს

ნბას რეგულარული სეზონის დასრულების შემდეგ გუნდები გაძლიერებას გეგმავენ. ბევრისთვის ეს სეზონი მიუღებელი გამოდგა, ბევრი კალათბურთელი ისე ვერ წარმოჩნდა გუნდში, როგორც ეს გოგა ბითაძეს შეეხო.

შედეგად, ამერიკული მედია კლუბებს თითო ისეთ ტრეიდს „სთავაზობს", რომლებიც თითოეულ მათგანს წაადგება გასაძლიერებლად.

კონკრეტულად ჰიუსტონ როკეტსა და ინდიანა პეისერსს ასეთ გაცვლას სთავაზობს: ჰიუსტონი მიიღებს ცენტრ გოგა ბითაძესა და მსროლელ ჯერემი ლემბს. სანაცვლოდ, ინდიანა მიიღებს მცველ/ფორვარდ ერიკ გორდონს.

იმისთვის, რომ ჰიუსტონი მწყობრში ჩადგეს და პოზიციებს დაუბრუნდეს, ერიკ გორდონის კონტრაქტის სიმძიმე თავიდან უნდა მოიცილოს. 32 წლის კალათბურთელი მომავალ სეზონში 18.2 მილიონს მიიღებს, მომავალ წელს 19.6 მილიონ დოლარამდე გაიზრდება, ხოლო 2023-24 წლისთვის (20 მილიონზე მეტი) კონტრაქტი გარანტირებული არ აქვს.

ამასთან, ლემბი ჰიუსტონში თითქმის დასრულებული კონტრაქტით მივა, თან 3 წლით უმცროსია გორდონზე. ტრავმის შემდეგ კარგად დაბრუნდა მოედანზე და საშუალოდ 10.1 ქულას მატებდა ინდიანას, სამქულიანს კი 40.6%-იანი სიზუსტით ესროდა. ბითაძე 2019 წლის დრაფტზე მე-18 ნომრად არის არჩეული, მხოლოდ 21 წლის არის და კარგ ტანდემს შექმნის გუნდში ცენტრ კრისტიან ვუდთან.

პეისერსი ამ ტრეიდით უფრო უკეთესი გახდება, რადგან გორდონი საშუალოდ 17.8 ქულას აგდებს, თან ის ინდიანელია და პეისერსში შესანიშნავი მე-6 მოთამაშე იქნება.

შეგახსენებთ, რომ გოგა ბითაძეს ინდიანასთან 4-წლიანი კონტრაქტი აკავშირებს, 2 სეზონი უკვე გავიდა, მე-3 გარანტირებული აქვს, მეოთხის ბედი კი კლუბმა ახალი სეზონის წინ უნდა გადაწყვიტოს.

ახალგაზრდული ნაკრები უთამაშებლად შეიკრიბება

საქართველო 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, ამიტომ შესარჩევი ეტაპიდან გათავისუფლებულია. ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბოლო მატჩი 29 მარტს გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე გამართა ბელარუსის 21-წლამდე ეროვნული გუნდის წინააღმდეგ და 4:1 მოიგო.

რამაზ სვანაძეს კი ასე მცირე თამაშების რაოდენობა არ აწყობს და გუნდს შეკრება მოუწყო. გუნდი შეკრებაზე გუშინ შევიდა და 4 ივნისამდე დარჩება. საწვრთნელ პროცესში მონაწილეობის მისაღებად სვანაძემ 23 ფეხბურთელი გამოიძახა.

აღნიშნულ საწვრთნელ პროცესში მონაწილეობას არ მიიღებენ ლეგიონერები.

სვანაძის სია ასე გამოიყურება:

მეკარეები: თორნიკე მეგრელიშვილი (საბურთალო), ლუკა ნანავა (კოლხეთი ფ);

მცველები: ცოტნე კაპანაძე (თელავი), ბექა ბუიღლიშვილი, გიორგი ქველაძე, (ორივე ლოკომოტივი), ზურაბ ერაძე (სამტრედია), თორნიკე ჯანგიძე, ლევან ხარაბაძე (ორივე დინამო თბ), ჯემალ ჯინჯოლავა, გიორგი გოჩოლეიშვილი (ორივე საბურთალო), მათე ტერელაძე (ვიტ ჯორჯია);

ნახევარმცველები: ანზორ მექვაბიშვილი, გიორგი მოისწრაფიშვილი (ორივე დინამო თბ), ბექა დარცმელია (ლოკომოტივი), შოთა ნონიკაშვილი (საბურთალო), რევაზ ინჯგია (თელავი), თამაზ შარვაშიძე (ტორპედო), ბექა ვერულიძე (შუქურა), ანატოლი მესიაჩენკო, გიორგი ლომთაძე (ორივე სამტრედია);

თავდამსხმელები: გიორგი იაკობიძე (ლოკომოტივი), შოთა შეყილაძე (თელავი).

ეკა გორგოძე როლან გაროსის საკვალიფიკაციოს ფინალში გავიდა

ეკატერინე გორგოძე როლან გაროსის საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალში გავიდა. ქართველი ჩოგბურთელი ნახევარფინალში ბულგარელ ელიცა კოცოვას დაუპირისპირდა და ორ სეტში მოუგო – 7:6; 6:3.

პირველ სეტში სიტუაცია რამდენიმეჯერ შეიცვალა. გორგოძე ორჯერ იგებდა ბრეიკით, მაგრამ საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა. მინი გეიმში უკვე კოცოვა დაწინაურდა (5:4), მაგრამ გორგოძემ ზედიზედ სამი ბურთი ჩააგდო და სეტი სათავისოდ წაიღო.

მეორე უფრო მარტივი გამოდგა – გორგოძე თავიდანვე 3:0 დაწინაურდა, მერე 5:1 და გამარჯვებამდე მისვლა იოლი გახდა.

საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალში გორგოძე იტალიელ სტეფანია ერანისა და ესპანელ ნურია დიასს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ფინალში გასვლა ვერ მოახერხა მარიამ ბოლქვაძემ, რომელმაც რუს ვერა ზვონარევასთან წააგო – 3:6; 1:6.

თანაბარი თამაში მხოლოდ თავიდან იყო. პირველ სეტში 3:3 რომ გახდა, მერე ქულები მარტო ზვონარევამ აგროვა, მეორე სეტში კი ბოლქვაძემ სულაც ერთი გეიმი მოიგო.

იმერულ დერბიში სამგურალმა იმარჯვა

სამტრედია-სამგურალი 2:3

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

0:1 დოლიძე (8), 1:1 ილურიძე (22), 1:2 დოლიძე (36), 2:2 რუხაძე (76), 2:3 ბუხაიძე (87)

სამტრედია: ქურდაძე, ლალიჩი (ერაძე 84), გიორგაძე, ნადირაძე, ცეცხლაძე, კვირკვია, მესიაჩენკო, კობახიძე (ლუკავა 56), რუხაძე, რობაქიძე (ლომთაძე 63), ილურიძე (ჯიქია 84)

სამგურალი: ქვილითაია, პატარკაციშვილი, ქურდაძე, ბურჯანაძე, ფონიავა (თევზაძე 81), ჩიხლაძე (ახვლედიანი 73), დ.კირკიტაძე, დოლიძე (ლექვთაძე 58), კიკაბიძე (ვერულიძე 81), კალანდარიშვილი, ბუხაიძე

ეროვნული ლიგის მე-15 ტურის დასკვნითი მატჩი უხვგოლიანი გამოდგა და იმერულ დერბიში სამგურალმა სტუმრად სამტრედია 3:2 დაამარცხა.

წყალტუბოელები ნაკრებში გამოძახებული კუხიანიძის გარეშე თამაშობდნენ. მიუხედავად მთავარი შემტევის არყოფნისა, დებიუტშივე გახსნეს ანგარიში – საჯარიმოდან გრიგოლ დოლიძის დარტყმული ბურთი ანდრო გიორგაძეს მოხვდა და ბექა ქურდაძის კარში რიკოშეტით გავიდა.

მასპინძლებმა საპასუხო გოლი ანალოგიურად გაიტანეს – ამჯერად ილურიძის დარტყმული მოხვდა ცოცხალ კედელში მყოფ მცველს და სამგურალის კარში ასე აღმოჩნდა.

ამის შემდეგ წყალტუბოელებმა აქტიურად შეუტიეს, ქურდაძემ 2-ჯერ გადაარჩინა გუნდი, მაგრამ 38 წლის დოლიძესთან ისევ ვერაფერს გახდა და სამგურალი მეორედ დაწინაურდა. სამტრედია ერთხელ დავით კირკიტაძის დარტყმული ბურთის შემდეგაც გადარჩა, როდესაც მრგვალი სფერო ძელს მოხვდა.

მე-2 ტაიმი ორმხრივი შეტევებით წარიმართა და რუხაძემ ანგარიში გაათანაბრა. სწრაფი კონტრიერიშისას პირისპირ გასულ კალანდარიშვილს გოლის გატანა ქურდაძემ არ დაანება. შეხვედრის დასასრულს კი ბუხაიძემ გამარჯვების გოლი გაიტანა.

სამგურალმა ზედიზედ მე-3 გამარჯვება მოიპოვა, 22 ქულით მეექვსე ადგილზეა და სამეულამდე მხოლოდ 3 ქულა აშორებს. სამტრედია კი 9 ქულით მე-9 პოზიციაზე დარჩა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	15	9	4	2	28-10	31
2.დინამო (თბ)	15	10	1	4	24-12	31
3.დილა	15	7	4	4	18-12	25
4.ლოკომოტივი	15	7	3	5	25-23	24
5.საბურთალო	15	6	6	3	19-18	24
6.სამგურალი	15	6	4	5	16-17	22
7.ტორპედო	15	3	7	5	14-14	16
8.შუქურა	15	3	5	7	13-23	14
9.სამტრედია	15	2	3	10	15-27	9
10.თელავი	15	1	5	9	10-26	8

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ალექსანდრე იაშვილი: „სანიოლმა საქართველოში ბაიერნის მენტალიტეტი ჩამოიტანა"

გერმანულ ავტორიტეტულ გამოცემა „სპორტბილდში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტ **ალექსანდრე იაშვილის** ინტერვიუ გამოქვეყნდა.

ბუნდესლიგის ყოფილ ფეხბურთელსა და 43 წლის ფუნქციონერს ნაკრების მთავარ მწვრთნელად ვილი სანიოლის დანიშვნაში დიდი წვლილი მიუძღვის.

– თქვენ საქართველოს ოლივერ ბირჰოფი ხართ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი და ქვეყნის ეროვნული ნაკრები გაბარიათ. ნაკრების მთავარ მწვრთნელად ვილი სანიოლის სახით ბაიერნის ყოფილი გმირი დანიშნეთ. რომელი ცდილობდა უფრო მეტად მეორის დარწმუნებას?

– არც ერთი. ორივე მალე დავრწმუნდით ყველაფერში. ვილისთან რამდენიმე მოლაპარაკება მქონდა, მაგრამ პირველივე საუბრის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ ზუსტად ის არის სწორი არჩევანი.

– რატომ?

– ვილის მწვრთნელის რანგშიც ისეთივე მენტალიტეტი აქვს, როგორიც ფეხბურთელობისას – ყველა თამაშის მოგება სურს და არც ერთი მეტოქის არ ეშინია. მისი თავდაჯერება და სიმშვიდე წარუმატებლობების შემდეგ გუნდს აძლიერებს და თვითრწმენას აძლევს.

– ანუ სანიოლმა საქართველოში ბაიერნის მენტალიტეტი ჩამოიტანა?

– აბსოლუტურად! ჩვენც სწორედ ეს წარმოგვედგინა. გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს და ძალიან გადამწყვეტი ფაქტორია, რომ თამაშები თავდაჯერებით მოიგონ. უნდა სჯეროდეთ, რომ ნებისმიერი დიდი მეტოქის დამარცხება შეუძლიათ. სწორედ ასეთი მიდგომით უნდა გავიდნენ ყველა თამაშზე.

– საქართველოს სუპერტალანტმა ხვიჩა კვარაცხელიამ უკვე რამდენიმე ტოპკლუბის ყურადღება მიიქცია. მისმა აგენტმა იწინასწარმეტყველა, რომ 20 წლის შემტევი რეალში ან ბაიერნში მოხვდება. შეუძლია კვარაცხელიას, რომ ასეთ გრანდებში ადგილი დაიმკვიდროს?

– დარწმუნებული ვარ, რომ ხვიჩას ნებისმიერი გრანდის გაძლიერება შეუძლია. თუმცა რთულია იმის თქმა, რომ პირდაპირ ბაიერნის ტიპის ტოპკლუბში გადავა. შესაძლოა, ჯერ შუალედური ნაბიჯი გადადგას, რათა სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს და გამოცდილება მიიღოს. ჩემთვის ცხადია: კვარაცხელიას ყველა წინაპირობა აქვს საიმისოდ, რომ ტოპვარსკვლავი გახდეს. ყოველთვის, როცა ვარჯიშზე ვაკვირდები, ბედნიერი ვარ იმით, რომ საოცარი ტალანტი აქვს.

– რა ახასიათებს მას?

– კვარაცხელია სუპერდრიბლორია, ერთი ერთზე მეტოქეს ძალიან ადვილად უსწორდება, ყოველთვის ცდილობს, სწრაფად ითამაშოს, რადგან ამის მონაცემებიც აქვს. მეტოქის კართან ცივსისხლიანი და თავდაჯერებულია და ისეთ დიდ მეტოქესთანაც კი გააქვს გოლები, როგორიც ესპანეთის ნაკრებია. მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში, რომელიც 1:2 წავაგეთ, სწორედ ეს გააკეთა. ამასთან, ხვიჩა გუნდისთვის ძალიან მაგრად მუშაობს და თანაგუნდელებს დაცვაშიც ეხმარება.

– თქვენც მებრძოლი იყავით, პირველ და მეორე ბუნდესლიგაში 438 მატჩი გაქვთ ჩატარებული. რატომ არ თამაშობს ახლა არც ერთი ქართველი ბუნდესლიგის რომელიმე კლუბში?

– არ ვიცი და ამის გამო ძალიან ვწუხვარ. ტოპლიგებში ბევრი ქართველი რომ თამაშობდეს, ეს ჩვენი ნაკრების ხარისხს საკმაოდ გააუმჯობესებდა. თუ კვარაცხელია ბუნდესლიგაში მოხვდება, ამით სხვებსაც გაუღებს კარს. ჩემი აქტიური კარიერის დროს ქართველი ფეხბურთელების ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენი მენტალიტეტი იყო – ყველაფერს ზედმეტად აუღელვებლად ვუყურებდით. ახალი თაობა ბევრად უფრო დისციპლინირებული, მენტალურად ძლიერი და, უბრალოდ, უკეთესია, ვიდრე ჩვენ მაშინ ვიყავით. ყველაზე კარგი ის იქნებოდა, რომ ფრაიბურგში მალე ისევ რამდენიმე „ვილი" თამაშობდეს, ისე, როგორც ეს 20 წლის იყო, როცა ფრაიბურგში ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და მე ვიყავით.

– ფრაიბურგში თქვენ გმირი იყავით და ამ კლუბს 10 წელი უერთგულეთ. ბუნდესლიგის სხვა კლუბებისგან უკეთესი წინადადებები არ გქონდათ?

– როგორ არა, ბევრი შემოთავაზება მქონდა, თვით ტოპკლუბებისგანაც.

– კონკრეტულად?

– ამას ვერ გეტყვით. ჩემი მაშინდელი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე ყოველთვის ახერხებდა, ფრაიბურგში დარჩენაში დავერწმუნებინე. ბევრჯერ შეიქმნა ერთნაირი სიტუაცია: მივიდოდი ოფისში და ვეუბნებოდი, ახლა უნდა წავიდე-მეთქი. ხანმოკლე საუბრის შემდეგ კი მისი კაბინეტიდან გამოვდიოდი და ფრაიბურგთან ახალი კონტრაქტი მქონდა გაფორმებული. დღეს ვამბობ: ტრანსფერი კარგი იქნებოდა, რადგან სხვაგან უფრო მეტის მიღწევა შემეძლო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი"
ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მექსიკური არაყი; 2. ქართველი კომპოზიტორი; 3. მდინარე აშშ-ში; 4. სხვისი ნაშრომის მითვისება; 8. მიწისქვეშა საკომუნიკაციო საშუალებათა შემკრები ნაგებობა; 9. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 11. სამშენებლო მასალა; 12. დედალი ჯიხვი; 14. ირლანდიური ცეკვა; 16. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 17. რაიონული ცენტრი გურიაში; 19. ქერისა და ჭვავისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 21. ნავსადგური უკრაინაში.

თარაზულად: 5. ჩინური ნავთობკომპანია; 6. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. ესპანელი მხატვარი; 10. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 13. ბალერინას საცეკვაო ფეხსაცმელი; 15. გულუბრყვილო ქალების როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 18. მგალობელი ჩიტი; 20. ქართული მინერალური წყალი; 22. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი საფრანგეთის აღმოსავლეთში; 23. ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 24. სახელმწიფო ევროპაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ახტალა; 2. სოჭი; 3. მარიონეტი; 4. დაშნა; 5. გამბიტი; 8. პუშერი; 9. კაკაფონია; 12. იშხანი; 14. დემონი; 16. იტამი.

თარაზულად: 1. ანტრესოლი; 6. კალევალა; 7. ტყაპუჭი; 8. კვაისა; 10. ხაში; 11. სელტიკი; 13. მადლი; 15. უშქარი; 17. დიორამა; 18. ვარძია; 19. გრინგო; 20. პირანია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რეგატა; 2. ეშელონი; 3. ქობულაძე; 4. ინჟინერი; 8. რინოსკოპი; 9. კატალონია; 11. სკოტები; 12. კივი; 14. შინი; 16. ესტაფეტა; 17. ნეისმიტი; 19. ლიმიტი; 21. გენკი.

თარაზულად: 5. როულინგი; 6. სელადონი; 7. ინტერპოლი; 10. ჩაკირი; 13. უსტარი; 15. ავსტრია; 18. ასკოტი; 20. ემისია; 22. სამეგრელო; 23. შტიბლეტი; 24. ოკულისტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2993

ევრო — 4.0420

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6735

100 რუსული რუბლი — 4.4922

ამინდის პროგნოზი 27 მაისისათვის



აგუერო ბარსელონაში ივნისის დასაწყისში ჩავა

ბარსელონამ თითქმის ოფიციალურად გაიფორმა მანჩესტერ სიტის არგენტინელი ფორვარდი სერხიო აგუერო, რომელსაც მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მოწერა დარჩა და ამას აგუერო ივნისის დასაწყისში ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ გააკეთებს.

აგუერო უკვე დაემშვიდობა გულშემატკივარს, მიუხედავად იმისა, რომ სიტისთვის სეზონი ჯერ არ დასრულებულა. არგენტინელმა სიტიში 10 წელიწადი გაატარა და ის ამ გუნდის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება.

დონარუმა ახალ გუნდს ეძებს

მილანის მეკარე ჯანლუიჯი დონარუმა ახალი გუნდის ძიებაშია, რადგან მილანთან კონტრაქტი უმთავრდება და ის გახანგრძლივებას არ აპირებს. გარდა ამისა, მილანმა ღილიდან ახალი მეკარე იყიდა და ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ის მზად არის დონარუმას წასვლისთვის.

დონარუმას შეძენა იუვენტუსსა და ბარსელონას სურთ. ტურინული გუნდი მიზანთან უფრო ახლოს არის.



კუმანის ბედი უახლოეს დღეებში გადაწყდება

ბარსელონის მთავარი მწვრთნელის რონალდ კუმანის ბედი რამდენიმე დღეში გადაწყდება.

სავარაუდოდ, ის კიდევ მინიმუმ ერთ წელიწადს გუნდში დარჩება, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი გარკვეული არ არის. თუ კუმანს გაათავისუფლებენ, მაშინ მისთვის 8 მილიონის გადახდა მოუწევთ და ეს ბარსელონას ამჟამად ნამდვილად არ აწყობს.

გარდა ამისა, ბარსელონის პრეზიდენტი ხუან ლაპორტა არ არის დარწმუნებული, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტის გაშვება სწორი გადაწყვეტილება იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ციდან ჩამოვარდნილმა ყინულის ლოდმა სახლის სახურავი ჩაამსხვრია

ამერიკის ფლორიდის შტატში ციდან ჩამოვარდნილმა ყინულის მსხვილმა ნაჭერმა სახლის სახურავი ჩაამსხვრია.

აღნიშნული ინციდენტი 19 მაისს მარტინის ოლქის ქალაქ პალმ-სიტისი მოხდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ყინულის ნაჭერმა სახლის სახურავში მოზრდილი ხვრელი გააჩინა. საბედნიეროდ ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

დღემდე გაურკვეველი რჩება, თუ საიდან გაჩნდა ყინულის ლოდი. ადგილობრივი ტელეარხის მეტეოროლოგმა პოლ დელეგატომ განაცხადა, რომ ის სეტყვა ნამდვილად არ არის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

27 მაისისათვის

ვერძი – ეს დღე უკავშირდება კოსმოსური ენერგიის ათვისებას, დასვენებას, სულიერი წონასწორობის აღდგენას. **კურო** – ნებისმიერი საქმე დიდ ძალისხმევასა და დროს მოითხოვს, თუმცა მიზანს წარმატებით აღწევთ. **ტყუპები** – იზრდება თქვენი მომხიბვლელობა, რომელიც საკმაოდ კარგ სამსახურს გაგიწევთ. ნუ იქნებით სწორხაზოვანი. **კირჩხიბი** – სამოგზაუროდ წასვლა უნდა გადადოთ. შემოქმედებითი აღმაფრენა გეწვევათ. იცვლება მატერიალური მდგომარეობა. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა მეგობრებთან ურთიერთობისათვის, შემოქმედებითი ძიებისათვის. იყავით მობილიზებული. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან მოლაპარაკებები გაგიჭირდებათ. მოსალოდნელია ფინანსური პრობლემები. **სასწორი** – საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. ნებისმიერი ქცევა აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – ფინანსური ოპერაციებისათვის ხელსაყრელი პერიოდია. ოჯახში სიტუაცია იძაბება, რაც თქვენი ბრალია. **მშვილდოსანი** – ბევრს ნუ იმუშავებთ. განტვირთვისათვის ბუნებაში გასვლა ან ბაღში საქმიანობა წაგადგებათ. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრები დღეს მიზანშეწონილი არ არის. ცრუ ინფორმაცია ნერვებს მოგიშლით. **მერწყული** – ნეგატიური დღეა. ახლობლებთან უსიამოვნო საუბარი გელით. გაუფრთხილდით ფინანსებს. **თევზები** – ნებისმიერ პრობლემას ცივი გონებით გადაჭრით. ემოციების აყოლა დღეს დაუშვებელია.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი მამაკაცი სხვის ბოსტანში კარტოფილს იპარავს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ამ კარტოფილს რას უპირებ?

– რას და მივიტან სახლში, ცოლი გემრიელ სადილს გამიკეთებს, სუფრას გაშლის, არაყსაც დამისხამს, შემდეგ კი ლოგინში მაგარი სექსი გვექნება... და შენ რას აპირებ?

– ბაზარში წაღებას და გაყიდვას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე და გადავწყვიტე, მეც შენ ცოლს მივუტან...

●●●

მამაკაცი ქალს ეკითხება:

– უკაცრავად, ქალბატონო და რამდენი ქმარი გყავდათ?

– ჩემი?

●●●

ქალი კაცს ეკითხება:

– შეგიძლიათ მითხრათ, რითი განსხვავდება სექსი სიყვარულისგან?

– სიყვარულმა ასაკი არ იცის.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ცოლს რატომ არ ირთავ, რას ელოდები?

– თეთრ ცოცხზე ამხედრებულ პრინცესას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანდრია გველესიანი და მაიკო ვაწაძე ბიჭის მშობლები გახდნენ

ახმეტელის თეატრის მსახიობები ანდრია გველესიანი და მაიკო ვაწაძე ბიჭის მშობლები გახდნენ.

სასიხარულო ინფორმაცია ანდრია გველესიანმა თავად გაავრცელა:

– დაიბადა ალექსანდრე ანდრიას ძე გველესიანი!

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს! უბედნიერესი ვარ!

ნინი წიკლაურმა ამერიკაში კლიპი გადაიღო

მომღერალმა ნინი წიკლაურმა ამერიკაში კლიპი გადაიღო. მისი პრეზენტაცია ქართული კულტურის ცენტრ „ფესვებში“ შედგა. ვიდეორგოლში საბავშვო სტუდია „ციცინათელას“ მოსწავლეები მონაწილეობენ:

– სულ ცრემლებით ჩაიარა, ისეთი ემოციური იყო. მადლობა თითოეულ „ციცინათელას“ მოსწავლესა და მშობელს, ასევე სტუდიის მეგობრებსა და მათ შვილებს, საუკეთესოები ხართ. ეს არის „საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის“ ციცინათელების ვერსია.

საბა საფარელს მსმენელი დაუბრუნდა

მომღერალ საბა საფარელს ერთგული მსმენელი დაუბრუნდა. მან პანდემიის დაწყებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ შეძლო და მარჯანიშვილის მოედანზე კვლავ შეკრიბა მსმენელი:

– წელიწადნახევრიანი სატანჯველი დღეების მერე მე შევძელი და ისევ გავავსე მარჯანიშვილი მსმენელებით. ვინც არ იცით, გეტყვით, რომ აღარავინ ჩერდებოდა, საინფორმაციოებითა და გამუდმებული რეგულაციების დაცვის მოწოდებებით დაპანიკებული. ძალიან ბედნიერი ვარ! გილოცავ, ძმაო, ირაკლი ჯიქია, სიხარულს, რომელიც განმეორდა ამხელა წვალების მერე!

ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავამ და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ გახსნეს გამოფენა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების იუბილეს მიეძღვნა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული, ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი ფოტო და საარქივო მასალები, ასევე ყველა ის მნიშვნელოვანი სიახლე, რეფორმა თუ პიროვნების ამსახველი ფოტოსლაიდი, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობასთან.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით ნოე ჟორდანიამ ქართველ ხალხს საქართველოს დამოუკიდებლობა ამცნო. 1917 წლის რევოლუციებისა და დაწყებული სამოქალაქო ომის შემდეგ საქართველო ჩამოშორდა რუსეთს და აღიდგინა 117 წლის წინ ძალადობრივად ჩამორთმეული სუვერენული უფლებები.

103 წლის წინ, მაშინ, როცა ოფიციალურად შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საზოგადოება უკვე აქტიურად საუბრობდა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორებიცაა თანასწორობა, რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლება, შრომითი უფლებები, ქალთა თანასწორობა და ა.შ. ყოველივე ეს კი საბოლოოდ აისახა კონსტიტუციაში, რომლის შექმნაში განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე ადამიანებიც იყვნენ ჩართულნი.

საერთაშორისო მხარდაჭერის მიუხედავად, დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა მხოლოდ 1028 დღის განმავლობაში შეინარჩუნა. სახელმწიფო გადატრიალებისა და დესტაბილიზაციის რამდენიმე მცდელობის შემდეგ, 1921 წლის 11 თებერვალს, წინასწარი განცხადების გარეშე, საბჭოთა ჯარები საქართველოს ხუთ სხვადასხვა ფრონტზე უტევდნენ. 1921 წლის 23 თებერვალს საქართველოს ოსმალეთმაც ომი გამოუცხადა. ქართული ჯარი და სახალხო გვარდია ექვსი კვირის განმავლობაში იბრძოდა გმირულად. 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის ჯარმა დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი დაიკავა. 1921 წლის 17 მარტს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ უკანასკნელი სხდომა, ყუმბარების ცვენის ფონზე, ბათუმში გამართა. შექმნილი ვითარების გამო გადაწყდა: მთავრობის ემიგრაციაში გაშვება და ბრძოლის გაგრძელება კაპიტულაციის ხელმოწერის გარეშე. მიღებულ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საქართველოს არ უღიარებია ოკუპაციის ფაქტი და მის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს დამფუძნებელ კრებას – უფლებამოსილება არ მოუხსნია.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას რეპრესიები მოჰყვა. დააპატიმრეს, გადაასახლეს ან დახვრიტეს უამრავი ადამიანი, რომლებიც ქვეყნის თავისუფლების იდეისთვის იბრძოდნენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. სხვადასხვა პოპულარული ნაწარმოებისგან შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები; 2. ბუნებრივი აირის უდიდესი საბადო საფრანგეთში; 3. მეფის დროშის სახელწოდება ძველად საქართველოში; 4. ცნობილი ქართველი ქირურგი, აკადემიკოსი; 5. ქართველ ქალთა თავსაბურველი; 8. ქართველი მოგზაური, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი; 9. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 12. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 14. ქართული რადიო; 16. ქართველი ოპერის მომღერალი ქალი.

თარაზულად: 1. მედიცინაში გამოყენებული ფუტკრის მიერ გამომუშავებული არომატული ნივთიერება; 6. შურისძიების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 7. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 9. ძველი გერმანული ტომი; 10. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 11. ცივი საბრძოლო იარაღი; 13. სამონასტრო კომპლექსი საჩხერის რაიონში; 15. ფულის ერთეული ავღანეთში; 17. კუნძული მდინარე ენგურზე; 18. მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 19. თავისუფალი მოქალაქე ძველ რომში, რომელსაც არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა; 20. ზღვისპირა კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა